



ციბერი

№ 28 / 26 აპრილი - 2 მაისი / 2010

VS: ვიზუალური საარჩევო ურთიერთება 83. 12

მარკ მალევი: იზოლაცია 83. 14

იცემის ლინკოლნ მიტჩელთან 83. 15

პოლონეთი ახალი პრეზიდენტის მოღოღიშვილი 83. 35

სიღარიბის გაფასება საქართველოში 83. 38

შამჩას ლიგარალიზმი 83. 30

ჩერქეზების განოცილი 83. 33

დადამინის დღის მე-40 ცლისტავი 83. 42

ISSN 1987 7528



ფასი 2 ლარი

ბომბები ესინვალის თავზე

თომას დე ვაალის რეცენზია რონალდ ასმუსის წიგნზე

„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ გვ. 18



თელავი, ყვარელი, ლაგოდევი

FM 105.5

გორი, ქარელი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ეზორი, სამტრედია

FM 104.5

ურევი, ქობულეთი, გათუმა

FM 101.0

ვოთი, სენაკი, ზეგდილი

FM 101.9



ფოტო ივანი სახატაშვილი

ცოდნა:


- 02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ფოტორეპორტაჟი
07 ვრცლად
10 მედიამნიტორინგი
ნინასაარჩევნო ხმა
12 ორი აზრი
ვიდეოკამერები საარჩევნო
უბნებზე
ეკა სირაძე-დელონე v.s.
ლევან თარხნიშვილი
14 თვალსაზრისი
იზოლაცია
მარკ მალენი
15 ინტერვიუ
პრაგმატული მეგობრობა
ლინკოლნ მიტჩელი
პოლიტიკა
18 ბომბები ცხინვალის
თავზე
საუბრები ლიბერალიზმზე
26 სიღარიბის შეფასება
საქართველოში

- 28 შურნალისტური გამოძიება
ზუგდიდში პოლიციელმა
მოქალაქე მოკლა
კონფლიქტები
30 შაბას ლიბერალიზმი
კავკასია
31 მშენებლის ფასადს მიღმა
33 თვალსაზრისი
ჩერქეზების გენოციდი
უცხოეთი
35 პოლონეთი ახალი
პრეზიდენტის მოლოდინში
36 ყირგიზეთი
კრიზისი ყირგიზეთში



- საზოგადოება**
38 არჩევანის გარეშე

- 40 ახალი მედია და პოლიტიკა
ბლოგერი პოლიტიკოსები
42 თვალსაზრისი
დედამიწის დღის მე-40
წლისთავის გამო
ჯონ ბასი

**კულტურა**

- 43 სიკედლის როკვა
წიგნები
44 ჩამორჩენილი
მილიარდი:
სპორტი
46 წყალი და ბალაზი
ქალაქიში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები
48 ხომ არ გვეჩერება?

გარეპარაზი:

ბომბები ცხინვალის თავზე
ფოტო:
ზურა ქურციკიძე



შურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ
„დია საზოგადოება - საქართველოს“
მსარდაქტრით.

ავტორის/ავტორების მიერ საინტერაციო
მასალაში გამოიტანული მოსაზრება
არ გამოხატებს ფონდის „დია
საზოგადოება - საქართველოს“
პაზიფიკა შესაბამისდ, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასლების შენარჩუნებით.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



2008 წლის აგვისტო ის წყალგამყოფია, საიდანაც საქართველოსთვის ახალი ეპოქის ათველა დაიწყო. ხანმოკლე ომის შემდეგ როგორც დაძაბული დღო დაგვიდგა და აღარც ის იმედებს და ილუზიებს „შემოგვრჩა, „გარდების რევოლუცია-მდე“ რამდენიმე წლით ადრე და, განსაკუთრებით, შემდეგი ორი-სამი წლის მანძილზე რომ გვქონდა.

აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და ოსეთის შემორნების პერსპექტივა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. საქართველოს ხელისუფლებას კი საკუთარი მოქალაქეების და, განსაკუთრებით, დასავლეთის ოვალში რეპუტაცია შეეღავსა. ეს ამბავი უკვე იმდენად გაიციოთა, ცოტა უხერხულიც კია ისევ ამაზე ლაპარაკი. უცხოური პრესა ჩვენზე ბევრს წერს და, მოკლედ რომ ვთქვათ, კარგს – ძალიან ცოტას. ოლონდ ამ ინფორმაციაზე საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება, მით უმეტეს – რეგიონებში. ნაციონალური ტელევიზიები მარტო იმაზე ლაპარაკობენ, რაც ჩვენი ხელისუფლებისთვის ასე თუ ისე მისაღებია და აქა-იქ თუ „გაიპარება“ რაიმე არასასურველი. ტელევიზიები საერთაშორისო კომისიების დასკვნებიდან და ანგარიშებიდან, ცნობილი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების სტა-ტიებიდან მხოლოდ მთავრობისთვის სასურველ ციტატებს კითხულობენ და ეს, ცხადია, მოსახლეობის ზოგად განწყობებზე მოქმედებს. ჩემმა ერთმა სამტრედიელმა ნაცნობმა, როცა კომპიუტერი ინტერნეტში ჩართო, მითხორა, – „თვა-ლები ამებილა, იცი, აქამდე ნამდვილად მეგონა, ტალიავი-ნის დასკვნაში მარტო ის ენერა, რომ ომი რუსეთმა დაინტოვდა ქართველებმა მოვიგეთ“.

ახლა გამახსენდა, როგორ გააშუქა პირველმა არხმა რამდენიმე თვის წინათ ცნობილი რუსი დისიდენტის სერ-გეი კოვალიოვის ვიზიტი. მგონი, საინტერესო ამბავია და იმიტომ უყვები. კორალიოვი ერთ-ერთი პატიმრის, რუსე-

თის მოქალაქეს ვლადიმერ ვახანიას პროცესზე ჩამოვიდა. როგორც თვითონ თქვა, საქმეში აშკარად პოლიტიკური მოტივები იკვეთებოდა. რადგანაც მოსკოვიდან საქართველოს ხელისუფლების ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ დაუკავშირდა, იფიქრა, – თბილისში მოვახერხებ და, თუ პრეზიდენტს არა, ვინმეს მაინც შეეხვდებიო. სერგეი კოვალიოვმა პრესკონფერენციაზე რუსი ხალხის სახელით ბოდიში მოიხადა აგვისტოს ომის გამო და თქვა, რომ ის და მისი კოლეგები სწორედ რუსეთის მთავრობას სდებდნენ ბრალს მომხდარში. პირველმა არხმა აჩვენა ეს პრესკონფერენცია, ოლონძ გვითხრა, რომ სერგეი კოვალიოვის ვიზიტის მიზანი ქართველი ხალხისთვის სოლიდარობის გამოცხადება და რუსეთის ხელისუფლების დაანაბაულება იყო. დანარჩენი, რაც მან ვახანიას საქმეზე და ქართული სასამართლო სისტემის შესაძლო ხარვეზებზე იღაპარაკა, მაყურებელს არ გაუგია. ამაზე არაფერი უთქვამთ, არც ერთი სიტყვა. თანაც ეს ყველაფერი არა კერძო ტელეკომპანიამ, არამედ, საზოგადოებრივმა მაყურებელმა გადასჯა.

ანდრეი სახაროვის პრემიის ლაურეატი, 80 წლის სერგეი კოვალიოვი, ადამიანი, რომელსაც „რუსეთის სინდისას“ უწოდებენ, საქართველოს მედიამ და ხელისუფლებამ არად ჩააგდო. სამაგიროდ, ორი თვის შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით შეეგძა მის კოლეგებს – ნოვოდვორსკაიას, ილარიონოვს, ბუკოვსკის და ბოროვიოს.


თომას დე ვალის სტატია რონალდ დ. ასმუსის ახლად გამოცემულ წიგნს შეეხება. წიგნს ასე ჰქვია – „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, და ის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შესახებაა.

სტატია „იმედის“ იმიტირებული ომის ამბით იწყება და მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების თემით მთავრ-დება. მანც მგონია – მასში რომელიმე კონკრეტული ლიდერის გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი სამართლიანი არ-ჩევნების ჩატარება იქნება. იქნება ამის მერე მაინც დაიწყოს საქართველოში ახალი, უფრო მშვიდობიანი და განვითარე-ბაზე ორიენტირებული პროცესების ეპოქა. ამას ელიან ამ ქვეყნის მოქალაქეები და ამას ელიან ჩვენგან ჩვენი დასაგ-ლელი პარტნიორებიც.

ნინო ბექიშვილი

ახალი წიგნი

თანამედროვე
ქართული პროზა



”ლიტერატურული ექსპრესი“ ექსპერიმენტული მატარებელია, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქალაქს სტუმრობს, მგზავრები კი ევროპელი, მათ შორის, ქართველი მწერლებიც არიან. მოგზაურობის ორგანიზატორების აზრით, ლიტერატურული ექსპრესის თითოეულ მგზავრს ქალაქიდან ქალაქში უთავბოლო ხეტიალი შთაგონებას მოუტანს. ასეცაა: ზოგისთვის ეს მატარებელი ახალი წიგნის დასაწერი იმპულსი ან უკვე დაწერილის პოპულარიზაციის საშუალება ხდება, ზოგისთვის კი - საკუთარი ცხოვრების გადაფასება ან უბრალოდ, მშვენიერი ქალის დევნა ...



პაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მის: ალმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge

ფასი 12.00



MAP ბოსნია

ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა
მინისტრების გადაწყვეტილებით, ბოსნია-
ჰერცოგოვინას ჩრდილო ატლანტიკურ
ალინბში განევრიანების სამიერედო გეგმას
(MAP) მიანიჭებენ. მინისტრებმა ეს გადა-
წყვეტილება ტალინში შეხვედრისას მიიღეს.
ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენელი
ჯემს აპატირა განმარტავს, რომ ბოსნიის

ტერიტორიაზე არსებული მთელი სამხედრო ტექნიკა ფედერალური მთავრობის საკუთრებად უნდა დარეგისტრირდეს. MAP-ის ბოსნიის თვეის მინიჭება სხვა დამატებით პირობებსაც უკავშირდება. 90-იან წლებში ომის შედეგად ნარმოქმნილმა ქვეყანამ ნატო-ში გამოვიდის განაცხადი 2009 წლის გააკითა.

հՀԵՂՈՒԿԻՒ

ՏԱՅՐԱԿԱՆ ՇԱբաթ

პაქტოში 27-28 აპრილს რელიგიური
ლიდერების მსოფლიო სამიტზე
150-ზე მეტი ქვეყნის რელიგიუ-
რი ლიდერი შეიკრიბება. სამიტს
დაესწრებიან საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი ილია
მეორე, რუსეთის კათალიკოს-
პატრიარქი კირილი და სომხეთის
სამოციქულო ეკლესიის მეთაური
კათალიკოსი გარეგინ მეორე.
გარეგინი აზერბაიჯანში ქვეყნის
შიიტი მუსლიმების ლიდერის, შეის
ულ-ისლამ ალაპშუკურ ფაზაზადე-
სა და რუსეთის მართლმადიდებელ-
ი ეკლესიის მეთაურის მინვევით
მიემგზავრება. ოთხი ქვეყნის –
საქართველოს, სომხეთის, რუსე-
თისა და აზერბაიჯანის რელიგიუ-
რი ლიდერები ცალკე შეხვედრასაც
გამართავენ.

አክሬልካሁ ቃዕሚዎች

სომხეთში მმართველი კოალი-
ციის მოთხოვნას – შეჩერდეს
თურქეთან ურთიერთობის
ნორმალიზებაზე გაფორმებუ-
ლი შეთანხმების პარლამენტში
რატიფიცირების პროცესი,
ქვეყნის პრეზიდენტის მიმართვა მოჰყვა. სერჯ სარგსიანი
საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მიმართვაში აცხადე-
ბს, რომ პროცესის გაგრძელების საკითხს მაშინ განიხი-
ლავენ, როდესაც დარწმუნებული იქნებიან, რომ „ანკარაში
არის ხელმძღვანელობა, რომელიც მზადაა ისევ ჩატროს
ნორმალიზების პროცესში“. თუმცა, მიმართვაში ნათქვამია,
რომ ოქტომბერში ხელმოწერილ შეთანხმებას სომხური
მხარე უკან არ გამოიხოვს, მხოლოდ ამ დოკუმენტების
რატიფიკაციის პროცესი შეჩერდება. ამასთან, სარგსიანმა
აშშ-ს, საფრანგეთისა და რუსეთის პირველ პირებს ამ ურ-
თიერთობის დარეგულირებაში მონაწილეობისთვის მადლო-
ბაც გადაუხადა. ოქტომბერში ხელმოწერილი შეთანხმების
რატიფიკაციის პროცესი არივე ქვეყნის პარლამენტებში
აქამდეც შეფრენებული იყო.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ერთ-ერთი კერძო
ბრიტანული კომპანიის
თანამშრომლებმა, ლინ-
გვისტიკის ექსპერტებმა
ისაბელ პიკორნელმ და
დონალდ რეიფილდმა
ტელეკომპანია „იმე-
დის“ ხელმძღვანელის,
გიორგი არველაძისა და
მისი მოადგილის, ეკა
წამალაშვილის ცნობილი
სატელეფონო საუბრის
ჩანაწერის ავთენტურობა
დაადგინდა.

ხმოვან-ლინგვისტური
ექსპერტიზა ადგენს საუ-
ბართან თავისებადია თუ
არა ზოგადი ლექსიკური
კატეgorიები.

ლინგვისტურ დასკვნაში
წერია, რომ ჩანაცერ-
ში ფიქსირდება სამი
ადგილი (როცა ნახსენე-
ბია სააკაპიტოლი), სადაც
მცირე შეუსაბორბა
შეინიშნება, რაც შესა-
ძლოა მსუბუქ ჩარევაზე
მიუთითობდეს, ნაშლის
(ამოჭრის) მიზნით. ორი-
ვე ექსპერტი ადასტუ-
რებს, რომ ზოგიერთი
ადგილი, შესაძლოა,
ამოჭრილი იყოს, მაგრამ
ჩანართების ან დამატე-
ბების არანაირი კვალი
არ არსავსთა.

ლინგვისტური დასკვ-
ნის გარდა არსებობს
ტექნიკური დასკვნაც,
რომელიც მოგვიანებით
ახორციელობოდა.

სოზარ სუბარი აცხადე-
ბს, რომ ექსპერტიზის
დასკვნაზე დაყრდნობით,
მომზადდება საჩიქ-
ლი პროკურატურაში
შესატანად, რომელზეც
ხელს ყველა მსურველი
მოაწირს.

ბუჯეტის სახელები

სატრანსპორტოს სასამართლომ და ფაქტო სამსრეთ ოსეთში მცხოვრები ხელი მოქალაქეს საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი განხოლვიდან მოხსნა. ამის მიზეზი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზეა განმარტებული – ადონიატებმა სასამართლოს ოფიციალურ არც ერთ მიმართვას არ უპასუხეს. სტრანსპორტოს საქმების გაგრძელება აღარ სურთ. მოსარჩელები საქართველოს 2008 წლის აგვისტოში გატაცებაში, ქონების განადგურებაში, მათი ოჯახების წევრების მკვლელობასა და სხვა დანაშაულებებში სდებდნენ ბრალს. ეს 5 საქმე ერთ საქმედ იყო გაერთიანებული. სასამართლო კიდევ შეიდი ასეთი სარჩელის განხილვას გეგმავს. თუმცა, არ არის გამორიცხული, მათაც წინამორბედების ბედი გაიზიარონ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ ე.ნ. სამსრეთი ოსეთის სულ 3300 მოქალაქეს აქვს სარჩელი შეტანილი.

საქართველოს

პეტრის

საქართველოს საგარეო უზენა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლის დავიდ ვილშარის მოსკოვში ბორის ჩოჩიევთან შეხვედრის გამო შემფოთებას გამოითქვამს. ვილშარის „წინასწარ ჩამოყალიბებული, მიკერძოებული პოზიცია აქვს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული რეზოლუციების იმპლემენტაციის საკითხებზე, რასაც მის მიერ მოსკოვში გამართული შეხვედრაც მოწმობს“, – ნათქვამია განცხადებაში.

საგანგებო განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „ეს ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მთავარ, ანუ ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს და ხელყოფას ევროპის საბჭოს სტატუსს, ისევე როგორც საპარლამენტო ასამბლეის ყველა იმ რეზოლუციას, რომლის შესრულების შეფასებაც დაგალებული ჰქონდა ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტს“. თბილისი მოუწოდებს ეროვნის საბჭოს ხელმძღვანელობას, დაგმონ ეს ნაბიჯი. ვილშარისა და ჩოჩიევთან შეხვედრა მოსკოვში სამსრეთი ოსეთის ე.ნ. საელჩოში გაიმართა ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მოსამზადებელი ვიზიტის ფარგლებში.

ჩილები

133 000 მონაცემი გაასწორა საარჩევნო სიებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

1,7 მილიარდი აშშ დოლარი იზარალეს ავიაკომპანიებმა ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანის გამო.

25 პროცენტით გაიზარდა საქართველოს საგარეო ვალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში და 3 მილიარდ 521 მილიონ 775 ათასი დოლარი შეადგინა.

340 800 მომხმარებელი ჰყავს საქართველოში სოციალურ ქსელ Facebook-ს.

ციტატები



„ჩაატარეთ [რუსეთმა, ყაზახეთმა, გაერო-მ, ეუთო-მ] რეფერენცუმი, გახადეთ ქვეყანა საპარლამენტო და გამოიყენეთ ჩემი უფლებამოსილებანი, რათა ქვეყანა სამართლებრივ ჩარჩოებს დაუბრუნდეს“.

ყურმანბეჭე ბაკიევი

23 აპრილი, მინსკი

„სიტუაცია, რომელშიც პოლონეთი, უკრაინა, საქართველო არიან, საკმაოდ სერიოზულად შეიცვალა. რუსული პრივილეგირებული ინტერესების კონცეფცია ცოცხლდება“.

ანდრეი ილარიონოვი

16 აპრილი, რადიო „სვობოდა“

„საქმე ეხება არა მხოლოდ საქართველოს, როგორც მოკავშირის მიტოვებას. არა, რუსეთი ამერიკას სთხოვს, დაუბრუნოს ის გავლენის სფერო, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდა“.

მიხეილ სააკაშვილი

23 აპრილი, უკრაინი Time

„მე არ ვიცი, რა ტრიალებს მის თავში [გია გაჩეჩილაძის]. ძალიან ბევრი შოუ აქვს დადგმული და შეიძლება კიდევ რაიმე შოუს დგამდეს“.

ლევან გაჩეჩილაძე

22 აპრილი, თბილისი



ფოთოების კოლექტი

ვაკისცის ნაციონალური მოწოდები

სოფელ ველისციხის ერთ ნაწილს წალევის საფრთხე ჭერამის წყალსადენის დაზიანებამ შეუქმნა. სოფელში გა-
მოცხადებული ორდღიანი საგანგებო სიტუაცია მესამე დღეს განგაშმა შეცვალა, რადგან კოკისპირულმა წვიმამ
წყალსადენზე შემკეთებელი სამუშაოები შეაფერხა. ველისციხის ხევისპირა უბნის მოსახლეობამ სახლები დატოვა და
დამლამობით ზოგი მათგანი სოფლის ცენტრში, თეატრის შენობასთან იკრიბება, ნაწილი კი ნათესავებთან სხვადასხვა
ქალაქებსა და სოფლებში გაიხიზნა.

ბირთვული შავი ხასიათი

საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოში არაერთხელ დაუკავებიათ რუსეთიდან შემოსული გამდიდრებული ურანი.

საერთაშორისო სააგენტო Associated Press-თან ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რაც ვაშინგტონის ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე, 50 ქვეყნის ლიდერის წინაშე გამოსვლისას განაცხადა. მისი თქმით, გასულ თვეს ქართველმა სამართალდამცავებმა გამდიდრებული ურანის საქართველოში შემოტანისა და ტრანსპორტირების მორიგი შემთხვევა აღკვეთეს.

რეგიონში არასტაბილური ვითარების შექმნაში სააკაშვილმა რუსეთი დაადანაშაულა. მისი თქმით, სწორედ ეს არასტაბილურობა აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას, ბირთვული ნივთიერებების კონტრაბანდისტებს.

საერთაშორისო სააგენტოსთან ინტერვიუში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ რეგიონში „შავი ხვრელები“ არსებობს, რადგან საქართველო ვერ აკონტროლებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებს. მისი თქმით, საქართველოსთვის საუკეთესო თავდაცვა იქნება, თუკი დასავლეთი მეტად ჩაერთვება რეგიონის საქმეებში. მან ხაზი გაუსვა, რომ გულისხმობს აშშ-ს აქტიურობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, და არა სამხედრო მონაწილეობას.

ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლამ დღის წესრიგში დააყენა პოსტსაბჭოთა სივრცეში ბირთვული ნივთიერებების წარმოების ადგილების უსაფრთხოების საკითხი. ამ ნივთიერებების დიდი ნაწილი რუსეთის ტერიტორიაზე იწარმოება.

ექსპერტები ამბობენ, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა

ბირთვული ნივთიერებები მათი შენახვის ადგილების მიღმა აღმოუჩენიათ.

სამიტზე გამოსვლისას ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამ მხრივ ახალი საფრთხეები არსებობს.

„მრავალ ქვეყანაშია ბირთვული ნივთიერებები, რომელთა მოპარვა შეიძლება მათი გაყიდვის და ბირთვული იარაღის შექმნის მოტივით. ვაშლის ზომის პლუტონიუმს შეუძლია მოკლას და დაასახიროს ასობით ათასი უდანაშაულო ადამიანი. ტერორისტული ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა ალ-ქადა, არაერთხელ შეეცადნენ ბირთვული იარაღის დასამზადებლად საჭირო მასალის მოპოვებას. მათ ეს მასალა ერთხელ მანიც რომ ემოვათ, ისინი მას აუცილებლად გამოიყენებდნენ“, – განაცხადა ობამამ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არ გასცემენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა დაადგინეს გამოძიებისას – რისთვის იყო განკუთვნილი გასულ თვეს მათ მიერ დაკავებული ურანი.

„საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის“ კავკასიური ოფისის ხელმძღვანელი ლორენს შიტსი ამბობს, რომ მისთვის საქართველოში ურანის დაკავების სამი შემთხვევაა ცონბილი.

თავის წიგნზე მუშაობისას შიტს-მა მოიპოვა დოკუმენტები, სადაც დასტურდება, რომ 2003 წელს საქართველოს სამხრეთ საზღვართან სომხეთის მოქალაქე ცდილობდა ჩაის რკინის კოლოფით მონაცრისფრო-მომზანო ნივთიერების შემოტანას.

იგი საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. გამშვებ პუნქტთან ამუშავდა სპეციალური მოწყობილობა, რომელიც რადიაქტიული ნივთიერების არსებობის შესახებ მიუთითებ-

და. შიტსის თქმით, გამოძიებისას დადგინდა, რომ გარიც დადაიანს ეს ნივთიერება ნოვოსიბირსკიდან მოჰკონდა. რუსეთის ამ ქალაქში ბირთვული ელექტროსადგურების-თვის საწვავს აწარმოებენ.

ამავე ქალაქიდან მოჰკონდა რადიაქტიული ნივთიერება ჩრდილოეთი ისეთის მკვიდრს ოლეგ ხინცაგოვ-საც. 2006 წელს მან თავის ქართველ მეგობრებთან ერთად 100 გრამი გამდიდრებული ურანი ლარსის გამშვები პუნქტიდან საქართველოში შემოიტანა. თბილისში მას უკვე ელოდა „მყიდველი“, რომელიც სინამდვილეში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი იყო.

ლორენს შიტსი ამბობს, რომ ურანის ყველა ეს გადამზიდველები შემთხვევითი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც ამ ნივთიერების ტრანსპორტირება სოლიდური გასამრჯელოს ხათრით გადაწყვიტეს.

რუსი ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში პაველ ფელგენგაუერი ამბობს, რომ ბირთვულ იარაღზე კონტროლი სსრკ-ში ძალიან სუსტი იყო და რუსეთში იგი დღესაც არ არის ძლიერი.

„საბჭოთა დროს მეც მქონდა რადიაქტიულ ნივთიერებებთან ურთიერთობა, სახლში, მაცივარშიც კი ვინახავდი“, – ამბობს იგი.

საქართველოს შს სამინისტროში აცხადებენ, რომ ზუსტად არ იციან რამდენი რადიაქტიული ნივთიერება გადის საქართველოს გავლით და როგორია ამგვარი ტვირთების მასშტაბი.

სტატიაში გამოყენებულია რადიო „ეხო კავკაზას“ ინფორმაცია.

ლაგოზი შევიტორის მოცოდნილი შეხვები

ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებები უკრაინასა და რუსეთში განსჯის საგანი გახდა.

ნათია ახალაშვილი



დმიტრი შედეველევი და ვიქტორ იანუკოვიჩი, უკრაინა, ხარკოვი 2010

ხარკოვში რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების დაუგეგმავად გამართული შეხვედრის შედეგები ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ვიქტორ იანუკოვიჩმა და დმიტრი მედვედევმა ორ მნიშვნელოვან შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ერთის თანახმად, რუსული შავი ზღვის ფლოტი უკრაინაში კიდევ 25 წლით დარჩება. მეორე კი უკრაინას რუსული გაზის ნაკლებ ფასად ყიდვის შესაძლებლობას აძლევს.

უკრაინა რუსულ გაზს 30 პროცენტით ნაკლებ ფასად აპრილიდანვე შეიძნეს და ყოველ 1000 კუბურ მეტრ გაზში, 330 აშშ დოლარის ნაცვლად, 220-230 დოლარს გადაიხდის.

შეთანხმებების შესახებ ბევრს საუბრობენ უკრაინაშიც და რუსეთშიც. უკრაინის უმაღლესი რადას საგარეო კომიტეტის წევრი ანდრეი შკილი (ტიმოშენკოს ბლოკი) ამბობს, რომ ეს შეთანხმება ქვეყნის მოქმედ კონსტიტუციას ენინაალმდეგება, რომლის თანახმადაც, 2017 წლიდან უკრაინაში სხვა ქვეყნის სამხედრო პირებისა და ბაზების არსებობა აკრძალულია. თუმცა, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში აცხადებენ, რომ შავი ზღვის ფლოტის უკრაინაში დარჩენის ვადა კონსტიტუციურია.

უკრაინული პოლიტიკური პარტიის „ცვლილებების ფრონტის“ ლიდერი არსენ იაცენიუეკი იანუკოვიჩს მოუწოდებს, რადაში რატიფიკაციისთვის „არ შეიტანოს სამარცხვინო შეთანხმება“.

„ფლოტის არენდის ფასის გაზის ფასთან დაკავშირება დაუშევებელია, ვინაიდან რუსული ფლოტის უკრაინის ტერიტორიაზე ყოფნის ვადის გახანგრძლივება უკრაინის ნაციონალურ ინტერესს ენინაალმდეგება. ქვეყნის ინტერესებითა და ნამუსით ვაჭრობა დაუშევებელია“, – აცხადებს იაცენიუეკი.

შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმების საკითხზე უმაღლესი რადას საგანგებო სხდომის მოწვევას მოითხოვს ყოფილი პრემიერი იულია ტიმოშენკო. იგი იმუქრება, რომ ამ შეთანხმების რადაში რატიფიცირებას ჩაშლის.

უკრაინელ ექსპერტთა შეფასებით, ამ შეთანხმებამ უკრაინული და რუსული პოლიტელტების გაერთიანების შესაძლებლობა დაასამარა.

რუსი სამხედრო სპეციალისტები ამბობენ, რომ სევასტოპოლის საზღვაო ბაზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს – გემები ძველდება, ახლების აგების თანხები კი არ არის.

როგორც ჩანს, რუსეთისთვის ყირიმში

ფლოტის შენარჩუნება პრესტიჟის საქმეა და ამ ფულად უღირთ. გაზის საფასურის დაკლებით რუსეთს წელინადში დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მოაკლდება.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე მედვედევმა განაცხადა, რომ „გაზზე ფასდაკლებული თანხა შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლში დარჩენის არნდად ჩაითვლება“. იანუკოვიჩმა ამავე პრესკონფერენციაზე შეთანხმებას „უპრეცედენტო“ უწოდა. რუსეთი უკრაინას 2019 წლიდან ყოველწლიურად 98 მილიონ აშშ დოლარს გადაუხდის.

იანუკოვიჩი არ გამორიცხავს, რომ უკრაინაში შავი ზღვის ფლოტის დარჩენის შესახებ რეფერენდუმიც ჩატარდეს, თუმცა განმარტავს, რომ ამისთვის საჭიროა, ჯერ საკანონმდებლო ბაზა შეიცვალოს.

უკრაინის პრეზიდენტმაც აღიარა, რომ ამ შეთანხმებების დროს რუსეთმა „მოუგო“. თუმცა, ამ დათმობას იმით ხსნის, რომ სხვა გზა არ ჰქონდა – ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაშია, გაზის ტარიფი კი – ევროპაში ყველაზე მაღალი. ამით იანუკოვიჩმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ხარკოვში რუსეთმა წარმატებით გაუნია ლობირება თავის ინტერესებს, მას კი მოქმედების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს შეთანხმება უკრაინის საზოგადოებას გახლებს.

რუსეთის უმაღლესი სათათბირო ამ შეთანხმების რატიფიცირების საკითხს 27 აპრილს განხილავს. დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინ კოსაჩოვის თქმით, უკრაინისა და რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების რატიფიცირების საკითხის განხილვა სინქრონულად, ერთ დროს დაიწყება. უკრაინელი ხალხი 27 აპრილს გაიგებს, პრეზიდენტის მსგავსად, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოც მოიტყუებს თუ არა თავს.

ქართული ბიომეტრიული პასპორტი პასპორტი

15 აპრილს საქართველოში პირველი ბიომეტრიული პასპორტი გაიცა. ახალი ტექნოლოგია ფაქტობრივად გამორიცხავს დოკუმენტის გაყალბების შესაძლებლობას.

ნინო ნატროშვილი



ბიომეტრიული პასპორტი ვიზუალურად თითქმის არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან. ერთი შეხედ-ვთ შეიძლება ვერც კი შეამწინოთ, რომ ახალი პასპორტის მონაცემთა გვერდზე ალარ არის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, ლამინატის სტრუქტურა კი ოდნავ შეცვლილია. აბსოლუტურად უხილავია ამ პასპორტებს შორის მთავარი განსხვავება და „მეორე თაობის“ პასპორტის უპირატესობა-ელექტრონური მატარებელი. ჩიპი, რომელზეც შენახულია ინფორმაცია პასპორტის მფლობელის ელექტრონული ფოთოსურათისა და თითის ანაბეჭდების შესახებ, პრაქტიკულად გამორიცხავს ოფიციალური დოკუმენტის გაყალბების შესაძლებლობას. სწორედ ამ ჩიპის გამო ალარ არის საჭირო პასპორტში პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. ლამინატის შეცვლილი სტრუქტურა კი კიდევ უფრო დაცულია გაყალბებისგან. სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ

ქართული ბიომეტრიული პასპორტი უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტის შესაბამისადაა დამუშავებული და საერთაშორისო სამოქალაქო ავაიაციის საზოგადოება ICAO-ს სტანდარტებს შეესაბამება. სწორედ ეს ორგანიზაცია განასაზღვრავს მექანიზმს, რომლითაც დაცული უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბის დოკუმენტი.

ბიომეტრიული პასპორტი და მისი სანდობის მაღალი ხარისხი აუცილებელი და სავალდებულო ნაბიჯი იყო საქართველოსთვის ევროკავშირის ქვეყნებთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე გადასასვლელადაც. ამ სიახლის დანერგვა ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. თავად ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის მოქალაქე 2012 წლისთვის მხოლოდ „მეორე თაობის“ (თითის ანაბეჭდების შემცველ) ბიომეტრიულ პასპორტს უნდა ფლობდეს.

ქართული ბიომეტრიული პასპორტების პროექტი, რომელზეც იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის

2 წელიწადს მუშაობდნენ, 7 მილიონი ევრო დაჯდა. ამ თანხის დიდი ნაწილი სწორედ ევროკავშირმა დააფინანსდა.

დღეს მსოფლიოში ბიომეტრიული ტექნოლოგიების „ბუმია“. ტერო-რიზმთან ბრძოლის, უსაფრთხოების თუ ადამიანთა იდენტიფიკაციის პროცესის გამარტივებისთვის ბიომეტრია საუკეთესო საშუალებაა. პიროვნების დასადგენად თვალის გარსს, სახის მოყვანილობას, ხმას იყენებენ. თუმცა ყველაზე გავრცელებულია თითის ანაბეჭდების გამოყენება.

ბიომეტრიული ტექნოლოგიები უკვე ეფუძნებული დამოიყენება სასწავლო დაწესებულებებში, საბავშვო ბალებში, პარლამენტებს მიერ ხმის მიცემისას საარჩევნო პროცესში, ჯანდაცვისა და საბანკო სექტორებში, გასართოს დაწესებულებებშიც კი. პრაქტიკულად, ამ სისტემების გამოყენების სფერო შეუზღუდვავია. ბიომეტრიული პასპორტი პიროვნების იდენტიფიკაციისა და მისი ნამდვილობის დადასტურების სრულყოფილი სპუალება ხდება. ამჟამად ახალი სისტემის გამოყენება უკვე დაწყებულია, მაგალითად პშში, დიდ პრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, პონევონგში, ესტონეთში.

საქართველოში ბიომეტრიული პასპორტები ათი წლის ვადით გაიცემა. ბიომეტრიული პასპორტის აღება განაცხადის შეტანიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში 100 ლარი ლირს. მსურველებს დაჩქარებული მომსახურებით სარგებლობაც შეუძლიათ: მეხუთე სამუშაო დღეს – 120, მესამე სამუშაო დღეს – 150, განაცხადის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში – 190, ხოლო იმავე დღეს – 205 ლარი.

ბიომეტრიული პასპორტის აღება არ არის სავალდებულო და, მათი გაცემის პარალელურად, ვადის გასვლამდე ძალაში იქნება დღეისათვის მოქმედი

პასპორტებიც. მათ კი, ვისაც ახალი ბიომეტრიული პასპორტის აღება სურთ, და ამასთან, ძველ პასპორტში შეტანილი ინფორმაცია (მაგალითად, ვიზა) ესაჭიროებათ, შეუძლიათ ერთდროულად ორივე პასპორტი იქმნიონ. კანონი ერთ ადამიანზე ორი მოქმედი პასპორტის ქონას არ კრძალავს. 16 წლამდე ბავშვებზე ბიომეტრიული პასპორტი არ გაიცემა.

საქართველოში ბიომეტრიული პასპორტების ბეჭდვის სულ სამი ცენტრი იქნება. ეს ცენტრები თბილისა და ქუთაისში უკვე ფუნქციონირებს. 23 აპრილს პირველი ბიომეტრიული პასპორტი ქუთაისშიც გაიცა. შემდეგი ცენტრი ბათუმში გაიხსნება.

ბიომეტრიული პასპორტის ელექტრომაგნიტურ მატარებელზე ჩაწერილი ინფორმაცია დაცულია და მასზე ხელი ჯერჯერობით მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიუწვდება. ინფორმაციის წასაკითხად აუცილებელია სპეციალური დაშვება, რომელსაც შესაბამისი ტექნიკური მომზადების შემდეგ მიიღებს სასაზღვრო უწყებაც.

ბიომეტრიული პასპორტების შემდეგ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე – ელექტრონულ პლასტიკურ ბარათებზე დაიწყო მუშაობა. ჯერჯერობით პროექტის მოსამზადებელი ეტაპები მიმდინარეობს, რაც სატენდერო წინადადებების მომზადებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დანერგვას გულისხმობს. ელექტრონული პლასტიკური ბარათი იქნება მულტიფუნქციური ბარათი, რომელიც ერთ დოკუმენტში გააერთიანებს მფლობელის შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების – მაგალითად, ჯანდაცვის, ფინანსთა, შსს უწყებების ინფორმაციას და მომსახურებებს, პირის ელექტრონულ ხელმონერას, რომელიც იურიდიული ძალის მქონეა და სხვა. ამას გარდა, ელექტრონული პლასტიკური ბარათით შესაძლებელი იქნება პირის ონლაინ-რეჟიმში იდენტიფიკაცია, რაც კიდევ უფრო მოაწესრიგებს პირვენების ვინაობის დადგენის პროცესს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ელექტრონული პლასტიკური ბარათების შემოღებას მომავალი წლიდან გეგმავს.

ნინასაჩჩევნო ხელი

„უბრალო ადამიანებმა“ და „რიგითმა მოქალაქეებმა“ სატელევიზიო ახალ ამბებში ახალი სტატუსი შეიძინეს – „ამომრჩევლები“, თუმცა ისინი სიუჟეტებში ხშირად მხოლოდ ანტურაჟს ქმნიან.

რუსუდან რუხაძე



გვივი უგულავა ამომრჩევლთან შეხვედრის დროს, თბილისი 2010

ფოტო: სამხატველო

ნინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებლები სულ უფრო მეტად ცდლობენ, ბალანსი – პოლიტიკურ სუბიექტებს და არა ამომრჩევლებს შორის დაიცვან. საშუალო ფენა, ნეიტრალური და ახალგაზრდა ასაკის ამომრჩეველი – ეს ის სეგმენტია, რომელთაც მედია თითქოს ვერც ამჩნევს. ხშირად მაუწყებლები „ვოქსპოს“ მიმართავენ – ანუ ხალხის ხმას წინასაარჩევნო სიუჟეტებში გარკვეული პოლიტიკური კონტექსტის შესაქმნელად იყენებენ:

„იმდეზე“ პრაიმერის შესახებ სიუჟეტში ქარიშაში რამდენიმე ადამიანი გამოითხეს, რომელთაგან არც ერთი არ უჭერდა მხარს სოციოლოგიური გამოკითხვით მერობის ერთანი ოპოზიციური კანდიდატის გამოვლენას. უურნალისტმა ისიც აღიმნა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც პრაიმერის ეფუძებულობაში იქნებოდა დარჩენებული. რამდენიმე დღეში კი აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად შემოღებას გამოვითხვაში „ძნელად საპოვნმა“ 12 000-

მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო მათი გარკვეული ნაწილი ჭადრაკის სასახლეში დაესწრო კიდეც შედეგების გამოცხადებას.

დაუბალანსებელი იყო „მაესტროზე“ მომზადებული სიუჟეტი იმის შესახებ, თუ რა პრობლემების მოგვარებას ითხოვს ხალხი მომავალი მერისგან. დასაქმება, მუნიციპალური სამსახურების გაუმჯობესება, სოციალური პრობლემების მოგვარება, – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს იშველიებდა უურნალისტი. ქარიშაში გამოითხეული კი ერთხმად უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას ასახელებდნენ. უურნალისტმა აღნიშნა, რომ ის გამოვითხვებულიც, რომლებიც სხვა პრობლემებს ასახელებდნენ, ბოლოს მაინც დასაქმების აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ.

დასაქმების დაპირებით ნაციონალურ არხებზე უკვე გამოჩნდნენ „ერთანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი

კანდიდატები. ნაციონალურის ვიზიტს მესტრიასა და ახალციხეში, მცხეთასა და გორგში ცალკე სიუჟეტები მიეძღვნა, ხოლო სხვა პარტიების წინასაარჩევნო ქრონიკა ამ არხებზე ერთ სიუჟეტში მოაქციეს. ნაციონალურის ამომრჩეველიც განსხვავებულად იყო წარმოდგენილი – მაღლიერი, ოპტიმისტი, საქართველოს დროშით ხელში.

„გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, – „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო გზავნილს იმეორებს უკვე გიგი უგულავაც, რომელიც მერობის კანდიდატად ჯერ კიდევ არ წარუდგინათ. ლიფტების რეაბილიტაციის პროექტისადმი მიღებილი სიუჟეტი 78 წლის პენსიონერი ქალბატონის ამბით იწყება, რომელმაც ადგენილი ლიფტის წყალობით, 9 წლის შემდეგ პირველად დადგა ფეხი მიწაზე. „სასწაული მოხდა, რომ ასეთი ლიფტი გვაქვს“, – აღნიშნა იმავე კორპუსის მცხოვრებმა პენსიონერმა მამაკაცმა. ქალაქის მერი კი ხალხის გარემოცვაში აღლვდა უურნა-

მოხუც ქალთან ერთად ხელგადახვეული გამოჩნდა, რომელსაც „არც მეუღლე ჰყავს, არც შვილი და სახლიც მიწისძვრით დაენგრა“. ეს კადრი იმის მაგალითადაც შეიძლება გამოდგეს, რომ მაუწყებლები და პოლიტიკოსები ერთად ქმნიან გარკვეულ სტრუქტურას იმის შესახებ, თითქოს ჯანდაცვის, ადამიანის უფლებების და საგადასახად შედაგათვის თვამა მხოლოდ სოციალურად დაუცველი მოქალაქებისთვისა მნიშვნელოვანი.

შეირად სიუჟეტებში, სადაც პოლიტიკოსები ადამიანების გარემოცვაში ჩანან, ხალხის ხმა არ ისმის. არავის უკითხავსა აზრი, მაგალითად, არც სტამბა „თბილისულებითან“ შეკრებილი ხალხისთვის, არც პარლამენტის წინ უკანონო პატიმრების მხარდამჭერ საპროტესტო აქციაზე მისული ადამიანებისთვის, არც პრაიმერის შედეგების გამოცხადებაზე დამსწრე საზოგადოებისთვის; მით უმტკეს, რომ ზეიად ძირიგური ამ შედეგების პრეზენტაციისას სწორედ გამოკითხულთა 80-პროცენტის

■ რიცხვების ორომტრიალში დაიკარგნენ თავად ამომრჩევლები. არც ერთ არხს არ უცდია ერთი ადამიანის, ოჯახის ან კორპუსის მაგალითზე მიედევნებინა თვალყური, ჩასწორდა თუ არა აღმოჩენილი ხარვეზი.

ლისტებს ინტერვიუს, შეძახილის ფონზე – „გახსარე, შეღლო“.

გაცილებით აგრესიული იყო ხალხის ხმა „იმედზე“, ზურაბ ნოღაიძელის აჭარში ვიზიტის ამსახველ სიუჟეტში: „რა გააკეთა აჭარისთვის ნოღაიძელმა?“ „პუტინის კულა! ვგავარ ახლა მე ჩემელას, რომ ვიღაცამ მიბიძგოს და მომიყვანოს აქციაზე?“! – ისმოდა ხმები ხალხიდან.

„კავკასიაზე“ „აღლანსის“ მაუწორიტარი დეპუტატის ვიქტორ დოლიძის წარდგენას საკუთარ ეზოში ერთადერთი ამომრჩევლის კომენტარი ახლდა: „ნებისმიერი ჩუღურეთელი იტყვის, ვინ არის ვიქტორ დოლიძე... როგორც იტყვიან, ზღაპარი ადამიანი“. მომდევნო ახალ ამბავში კი, სადაც ზეიად ძირიგური და კობა დავითაშვილი ლრმალელის მეტროსთან ამომრჩევლებს ხვდებოდნენ, მოხუცმა მამაკაცმა მათ „ლებედ, რაკ და შეკის მოქმედება“ დაუწუნა და შეახსნა, რომ „ერთიანი კანდიდატი უნდა გყავდეთ, რომ მხარი დაგიჭირონ“. კობა დავითაშვილი კადრში

მხარდაჭერით აპელირებდა და ამპობდა, რომ რესეთან ურთიერთობის დარღულირება – ეს მათი მოთხოვნაა. არც ერთი სიუჟეტის ავტორს, რომელმაც ეს შეხვედრა გააშუქა, აზრად არ მოსვლია, პრეზენტაციაზე მისული ადამიანები გამოეკითხა და გაეგო, რეალურად რას ფიქრობნ ისინი

სარჩევნო სიების მონიტორინგი პოლიტიკური პარტიების მხრიდან გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამბავი იყო. ამ საკითხს, „მოამბე“ ცალკე რუბრიკასაც უძღვნიდა, თუმცა ისევე, როგორც სხვა მაუწყებლებზე, იქაც საუბარი მიღიოდა ძირითადად იმაზე, თუ რომელ პარტიას რა თანხა ჰქონდა ამისთვის გამოყოფილი და ვინ რა ვადაში რამდენი ხარვეზი აღმოაჩინა.

რიცხვების ორომტრიალში დაიკარგნენ თავად ამომრჩევლები. არც ერთ არხს არ უცდია ერთი ადამიანის, ოჯახის ან კორპუსის მაგალითზე მიედევნებინა თვალყური, მიაღწია ამბავმა ცენტრალურ საარ-

ჩევნო კომისიამდე და ჩასწორდა თუ არა აღმოჩენილი ხარვეზი.

მოუხედავად ამისა, ადამიანური ისტორიით ამბის ილუსტრირება ახალი ამბის გადმოცემის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხია. „კურიერში“ გასულ სიუჟეტში, „ახალი რუსთავის“ შესახებ, ქალაქის განაშენიანების ახალი გეგმა რუსთავის მკიდრის ვალერიან ვადაჭერიას მონათხრობის ფონზე იყო წარმოჩენილი. ხაზგასმული იყო აღმშენებლობის შედეგები, მაინცდამანც არჩევნებამდე ერთი თვით ადრე. საოცარი დამთხვევაა ისცი, რომ გაირკვა – ქალაქის უზუცესი წევრი და უმრწმევსა მერი ზუსტად ერთნაირად ფიქრობენ, რა სჭირდება რუსთავის. პასუხია – მეტი სამუშაო ადგილი.

„ბევრი ამბობს, რომ მათ უბრალოდ აღარ სჯერათ, ტყუილით ცხოვრობს ქეყუანა. ჩენებ ვცდილობთ, ხალხი დავაჯეროთ, რომ არჩევნებზე მისვლას აზრი აქვს“, – ამომრჩევლების სახელით განაცხადა ინგა გრიგორიაშვილი. ნიკა ივანიშვილი კი სასტუმრის „უშბაში“ ჩასახლებულ დევნილებს ესტუმრა: „ესენი არიან ადამიანები და მნიდა, ამ ადამიანებისთვის ხელისუფლებამ რაღაც გააკეთოს. 18 წელი აქ არავინ მოსულა“, – აცხადებდა სახალხო დემოკრატების მაუწორიტარი კანდიდატი. ქალაქის მერმა კი „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების წარდგენის ვადაზე უურნალისტს უპასუხა: „ყველაფერს თავისი დრო აქვს, მოჩეარეს მოუგვიანდეს“.

მაუწყებლებმა არჩევნებამდე დღეების ათველა უკვე დაიწყეს. წინასაარჩევნო კამპანიის დაბალანსებულ გაშუქებას კი საბოლოოდ სხვადასხვა კრიტერიუმების ერთობლიობა განსაზღვრავს და არა – ზედმინებით ზუსტად დათვლილი წუთები, რომელ კანდიდატს რა დრო დაეთმო ახალ ამბებში. ■



სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა ატერიის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიიში გამოთქმულ შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატატვდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



ეკა სირაძე-დელონე

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელი
დარექტორი

ვიდეოთვალი რაც უფრო მეტ საარჩევნო უბანზე იქნება, მით – უკეთესი. ამის სასარგებლოდ მეტყველებს იმ უბნებზე ჩატარებული კვლევები, სადაც კამერები იყო დამონტაჟებული. იქ, სადაც კამერებია, დარღვევების რაოდენობა ნაკლებია და ამომრჩეველთა რაოდენობაც რეალურთან ახლოს დგას. ამის ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითი იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნები.

ეს იძლევა იმის არგუმენტირებულად მტკიცების საშუალებას, რომ კამერა გარკვეულწილად დარღვევების შემაკავებელი ელემენტია. ამიტომაც ვუჭერთ მხარს იდეას, რომ რაც უფრო მეტგან განთავსდება კამერები, უკეთესია, ოღონდ ერთი პირობით – ეს მასალა ნებისმიერი მომჩინანისთვის ხელმისაწვდომი და გამოსაყენებელი უნდა იყოს.

ეს დიდი პრობლემა იყო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა არც ერთი გამოთხოვილი ვიდეომასალა საჯარო არ გამხდარა. არც ერთხელ არ გადმოგვეცა მასალები.

2008 წელს ჩაწერილი მასალების მხოლოდ 15-წუთიანი შუალედის ნახვის წებართვა მოგვცეს. ამ შეზღუდვას იმით სსნიდნენ, რომ მასალის გადაწერა დიდ დროს მოითხოვდა. ეს არგუმენტი არ არის მისალები, რადგან, თუკი სურვილი და პოლიტიკური წება იქნებოდა, ყველა არა, მაგრამ შესაძლებელი იყო, ეს მასალები შერჩევითი პრინციპით მაინც გამხდარიყო საჯარო. თუმცა ჩვენი მოთხოვნები საპარლამენტო არჩევნებზე არც 15-წუთიანი ლიმიტის დროს, არც ერთხელ არ დაკმაყოფილებულა. არგუმენტები, როგორც წესი, არ ჰქონდათ, უბრალოდ, კომისიაში ან სასამართლოში ამბობდნენ, რომ კადრების, როგორც დამატებითი მტკიცებულების, ნახვა საჭირო აღარ იყო.

მხოლოდ 15-წუთიანი მონაკვეთების ნახვა დარღვევებზე სრულ სურათს ვერ შეგვიქმნის. ხშირად არის ისეთი დარღვევები, რომლებიც ერთ 15-წუთიან მონაკვეთში ვერ დაფიქსირდება. მაგალითად, როცა ერთი და იგივე ადამიანი ხმას ორჯერ აძლევს. თუმცა, ზოგიერთი ტიპის დარღვევას ამ მოკლე დროშიც შევამჩნევთ. მაგრამ, უკეთესი იქნებოდა, ეს ლიმიტი თუ არ იარსებებდა.

ახლა ცესკო კამერების შეზღუდვისას ვენეციის კომისიას იშველიებს. იგივე კომისია 2006 წელსაც გვირჩევდა, კამერების დამონტაჟებისგან თავი შეგვეკავებინა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს კომისია ცალსახად არ ამტკიცებს, რომ ვიდეოთვალი უნდა აიკრძალოს. რეკომენდაციის მიხედვით, თუ ხმის ფარულობა გარანტირებული არ იქნება, მაშინ უნდა ვიფიქროთ კამერების დემონტაჟზე. ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად კი საპრეზიდენტო არჩევნების დროს კაბინეტი სპეციალურად ნაჭრებით გადაფარეს, რომ ამომრჩევლებს თავი შეზღუდულად არ ეგრძნოთ.

შეზღუდვის შემთხვევაში, დადებითი გადაწყვეტილე-



ვიდეოსამაჩები სა

ბა კამერების დიდ ქალაქებში დატოვება იყო. თბილისი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო. თუმცა, ეს ქალაქები არასაკამარისად შეირჩა: ძირითადი აქცენტი 4 დიდ ქალაქზე უნდა გაკეთებულიყო: ბათუმზე, რუსთავზე, ქუთაისა და ფოთზე. ამიტომ, ჩემთვის გაუგებარია, თუ ბათუმი და ქუთაისი ამოირჩიეს, რატომ არ უნდა განთავსდეს კამერები რუსთავსა და ფოთში. რუსთავი დიდი ქალაქია, ფოთი კი – თვითმმართველი ქალაქია და მნიშვნელოვანი იქნებოდა ვიდეოთვალების დამონტაჟება.

კამერების უფრო მეტგან განთავსება და ვიდეომასალაზე ხელმისაწვდომობა, ცხადია, გამჭვირვალობას გაზრდის. ამის შედეგად ნდობის უფრო მაღალ ხარისხს მივიღებთ არჩევნებზე.

დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ ვიდეოთვალი მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსდება, მხოლოდ მივესალმებით. თუმცა, გარდა ხელმისაწვდომობისა, ჩანაწერი ხარისხიანიც უნდა იყოს და მისი გადაწერისას არანაირი პრობლემა არ უნდა არსებობდეს. ■



საქართველო უბნებზე



ლევან თარხნიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე

რადგან საქართველოს გარდა ასეთი ტიპის დაცვის მექანიზმი არსად არ არსებობს, იმისათვის, რომ გავაანალიზოთ საჭიროა თუ არა ახლა კამერები საარჩევნო უბნებზე, მათი დამონტაჟების მიზანზე უნდა გავიხსენოთ.

90-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში საარჩევნო უბნებზე ურნების გატეხვა, გატაკება, ცეცხლის მოვიდება, ბიულეტენების მოპარვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ერთი მხრივ, მაშინ კამერები ამ დარღვევების პრევენციისთვის დაგამონტაჟეთ. მეორე მხრივ კი, საჩივრის განხილვისას შესაძლებელი იყო ვიდეომასალა დამატებით მტკიცებულებად გამომდგარიყვნა.

ბოლო 6-7 არჩევნებია, ის ექსცესები, რის გამოც კამერები დავაყენეთ, აღარ ხდება. რაც შეეხება ჩანარილი მასალის და-

მატებით მტკიცებულებად გამოყენებას – ამ ცვლილებების შემდეგ ორი არჩევნები ჩატარდა და ვიდეომასალის ჩვენებაზე სულ ხუთამდე მოთხოვნა მივიღეთ. უმეტეს შემთხვევაში, ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა, რადგან სათანადოდ არ იყო შევსებული, ან კომისიამ ან სასამართლომ ჩათვალა, რომ მტკიცებულებების გარეშეც ყველაფერი ნათელი იყო.

ევროპული სტრუქტურები და არასამთავრობო ორგანიზაციები თავისი დროზე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ კამერების საჭიროებას. მათ მიაჩნდათ, რომ შეიძლება კამერები დაშინების და ზენოლის მექანიზმად ქცეულიყო. მაშინ ცესკო-მ ჩათვალა, რომ კამერების განსაზღვრულ არეალში დამონტაჟება და მისთვის დანახარჯების გაღება მიზანშენონილი იყო.

ცესკო-ს ახლანდელი გადაწყვეტილება – უფრო ვიწრო არეალზე კამერების დამონტაჟება პრობლემურად არ მიმაჩნია. აღმას, იმის დროც დადგა, ვიმსჯელოთ, მიზანშენონილია თუ არა საერთოდ კამერების დამონტაჟება და ამაზე ფინანსების დახარჯვა. კამერების მოწაფი, დემონტაჟი და მათი შენახვა საკმაოდ ძვირია. ამ საკითხის გადახედვისკენ ვენეციის კომისია და ეუთო-ც მოგვიწიდებენ.

ვიდეოთვალების დამონტაჟების პარალელურად, საარჩევნო უბნებზე ბევრი ცვლილება განხორციელდა და ამიტომ ძნელია, განვსაზღვროთ, დარღვევების შემცირებაში კამერებმა შეიტანეს დიდი წვლილი თუ, მაგალითად – ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლობამ კომისიებში, დამკვირვებლებთა უფლებების გაზრდამ, გასაჩივრების მექანიზმის გაიოლებამ, თუ იმან, რომ ზოგადად გამჭვირვალე არჩევების ჩატარების ნება არსებობდა. ამას ცალკე კვლევა სჭირდება.

რაც შეეხება ჩანაწერის ხელმისაწვდომობას, ჩემი აზრით, გასაჩივრების დროს ჩანაწერის 15-წლითან მონაკვეთზე მეტის ნახვა დამატებით არაფერ მნიშვნელოვანს არ იძლევა. როგორც აღვინიშნე, კამერების დამონტაჟებას ორი ძირითადი მიზანი აქვს. დარღვევების პრევენციისთვის ჩანაწერის ხანგძლივობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მტკიცებულებად გამოყენებისთვის კი ვერ დამისახელებთ დარღვევას, რომლის დაფიქსირება შეუძლებელია 15 წლითის განმავლობაში. თუ ხმის სხვადასხვა დროს დიდი შუალედით მიცემაზეა საუბარი, მშინ მოსარჩევემ შეიძლება ორჯერ 15 წლითის ნახვა მოითხოვოს.

არ შეიძლება, ვიდეოს საჯაროობა თვითმმიზანი იყოს. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების შესასრულებლად მისი მთლიანად განსაჯაროვება საჭირო არ არის. არასამთავრობო ორგანიზაციები კი ამპობენ, – არ გაჩვენეს ვიდეომასალებიო, – მაგრამ მის ჩვენებაზე სულ რამდენიმე საჩივრი იყო შემოსული. კადრების სრულად საჯაროობის საჭიროებისთვის კიდევ ერთი არგუმენტი აქვთ ხოლმე: ამომრჩეველთა დათვლა, რაც სხვადასხვა მიზანების გამო, აბსურდია; ასევე, შეუძლებელია მასალის ყურებით დარღვევები დააფიქსირო. შემთხვევები იმ წუთსვე უნდა ჩაინიშნონ და მერე მოქნონ.

არავის არ გაუზომია, არჩევანის გაკეთებისას კამერები ამომრჩეველზე ზენოლას ახდენდა, თუ – არა. მართალია, კამერები ისეა დაყენებული, რომ, წესით, უნდა გამოჩნდეს მხოლოდ ბიულეტენის გაცემის მომენტი და მისი ჩაგდების წუთი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცამ საარჩევნო უბანზე კამერის არსებობა მართლაც ზენოლად აღიქვა.

იზობაზი



წინა კვირის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი კვლავ კუნძულად იქცა. აქ მყოფები კონტინენტზე ვერ გადადიოდნენ, კონტინენტიდან კი იქ ვერ შედიოდნენ. არადა, თითქმის ყველას დავინუებული ჰქონდა, რომ ბრიტანეთი კუნძულია. ახლა ჰიტროუ და სხვა აეროპორტები ისევ ღიაა და ჩვენც, როგორც იქნა, დანარჩენ მსოფლიოს დაუუბრუნდით. ამ ყველაფერმა საქართველოზე დამაფიქრა.

მარკ მალენი

ის, რაც საქართველოს ყველაზე მეტად აქცევს იზოლაციაში, ქართული ენაა. ქართულ ენას ერის შენარჩუნებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის და ერთც მას თითქმის აღმრთებს. სხვა ერებმა, რომლებმაც თავიანთი ენა დაკარგეს, დიდხანს ვერ შეძლეს არსებობა. როდესაც ლონდონში ან სადმე სხვა-გან, საზღვარგარეთ ქართველების ლაპარაკი მესმის, ისეთი შთაგეჭდილება მრჩება, რომ თავის-თვის საუბრობენ, თითქოს ისე, რომ სხვამ ვერავინ გაიგოს. ქართველები ტებებიან იმ იზოლაციით, რასაც მათ ქართული ენა ანიჭებთ.


სამწუხაროდ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე ძალიან ცოტა დაინერა ისეთი ტექსტი, რომლის ავტორიც ქართველი არ იყო. რა თქმა უნდა, გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო და სტატია, რისთვისაც ქართველი მთარგმნულები პატივისცემას იმსახურებენ, რადგან ამით საქართველო მსოფლიოს დაუახლოეს. ზოგადად კი, 99% იმისა, რაც საქართველოში გამოიცემა, ქართველების ავტორობითაა. ეს იზოლაციის ერთ-ერთი აშეარა ფაქტორია. მსოფლიოში ბევრი დიდი იდეა, კონცეფცია და ტენდენცია, რომელსაც საქართველოში ჯერ არ შემოულებელია, ან რომელიც საქართველოში ცუდად ესმით. ეს ართულებს ურთიერთობებს დანარჩენ სამყაროსთან, განსაკუთრებით მსოფლიოს იმ ნაწილ-თან, რომელიც იდეების საერთაშორისო ქსელშია ჩართული.

მე მენატრება ქართული საქმელი, რომელიც ისეთი აღარ არის, როგორიც – ადრე. წინათ საქართველოში რასაც ვყიდულობდით, ძირითადად ქართული წარმოების იყო – საქართველოში ქართველების მიერ მოყვანილი. ამის თქმა ძალიან ადვილად შეიძლებოდა, რადგან ჩვენ ვყიდულობდით უმუალოდ ფერმერისგან, ან ფერმერის მეგობრისგან. ეს სიტუაცია თანდათანობით იცვლება. ახლა უკვე ძალიან ბევრი იმპორტირებული საკვებია, მასობრივად დაფასოებული და დამუშავებული. საკვების ხარისხი გაფუჭდა. მე მენატრება ამგვარი იზოლაცია.

წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით ცუდად ხდებოდა. ყველანი საკუთარ თავზე ვიყავით დამოკიდებული. აბაზანებს წყლით ვავსებდით და სანთლებს საძინებელ ოთახში ვინახავდით. იზოლირებულები ვიყავით, მაგრამ ასეთი იზოლაცია ხანდახან გვაძულებდა, ერთად შევერცხილიყავით. ამის მიუხედავად, ეს იზოლაცია სულაც არ მენატრება.

ჩვენ, ვინც ქალაქებში ვცხოვრობთ, ბუნების არსებობა თითქმის დაგვივიწყეთ. ვულკანის ამოფრქვევამ, რომელმაც ჩვენზე ამხელა გავლენა მოახდინა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ დედამინა მართლა არსებობს და ის ძლიერია. ის უნდა აღვიქვათ და დავაფასოთ. ეს ყველა ფერმერმა იცის, მაგრამ ქალაქის მაცხოვრებლებს პერიოდულად ამის შეხსენება ნამდგილად სჭირდებათ. დედამინის გაგება და პატივისცემა ჩვენთვის, როგორც ცოცხალი არსებებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვენგანი, ვინც ტექნოლოგიებით არის გარშემორტყმული და ურთიერთდაკავშირებული, ამას ივიწყებს.

იზოლაციის შესახებ მნიშვნელოვანია იმისი ცოდნა, თუ რამდენად იზოლირებული და რამდენად ურთიერთდაკავშირებული გვინდა ვიყოთ გარკვეულ სფეროებში; რომელი სფეროებია, სადაც იზოლაცია გვინდა, და სადაც გვმართებს მეტი კომუნიკაცია? ამის ცოდნა ადვილი არაა. იზოლაცია ხანდახან უსაფრთხოა. მას შეუძლია ტრადიციები შეგვინახოს. ამავე დროს მეორე ტიპის იზოლაცია ხელს გვიშლის. ბევრი ჩვენი საზოგადოებრივი პრობლემა სწორედ იზოლაციის საკითხს უკავშირდება. რამდენად იზოლირებული უნდა ვიყოთ? ვულკანის ფერფლის ღრუბელმა ამაზე დაგვაფიქრა. ■



ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

პატრიკ მარტინი

ინტერვიუ
ლინკოლნ მიტჩელთან

მემარცხენებს შორის, რომელიც ამჟამად აშშ-ში დომინანტი ძალაა, საქართველოს მემარჯვენების პროექტად განიხილავთ. ამერიკაში ის ფენა, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, ქართულ დემოკრატიას სერიოზულად არ განიხილავს. მათვის საქართველო სტრატეგიული მოკავშირეა.



საქართველომ პირველმა გაისროლა, ის ბევრჯერ გამოიწვიეს. ხოლო როდესაც უკვე ომი დაიწყო, რუსეთის საქციელში ბევრი დარღვევა დაფიქსირდა. საქართველომ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როცა ყველა ფსონი იმის დამტკიცებაზე დადო, რომ ეს ომი მას არ დაუწყია. უკეთესა იქნებოდა, თუ საქართველო იტყვოდა, რომ ჩვენ გავისროლეთ პირველებმა, მაგრამ ჩვენ ვიყავით დიდი წევის ქვეშ, ჩვენს ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა. თუ საქართველოს მთავრობა ამას იზამდა, მაშინ აღარ მოუწევდა მთელი წელიწადის გაფლანგვა იმის მტკიცებაში, რომ მას ომი არ დაუწყია.

როგორ შეიცვალა საქართველოს მიმართ პარაკ იბამასა ადმინისტრაციის მიღება?

იბამასა ადმინისტრაცია მხარს უჭერდა და უჭერს საქართველოს. ამერიკამ გააგრძელა და გაზარდა საქართველოსთვის მილიადდოლარიანი დახმარების პროგრამა. არ ვიცი, კიდევ რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ უფრო დიდი იყოს ეს მხარდაჭერა. შეიძლება ის, რომ მიჰყიდოს იარაღი? შესაძლებელია ამან საქართველოს დამატებითი პრობლემები შეუქმნას.

შეიცვალა ის, რომ პირადი ურთიერთობები ორი ქვეყნის პირველ პირებს შორის აღარ არის ახლო მეგობრული. მაგალითად, უკანასკნელ სამიტზე, ბუში რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, შეხვდებოდა სააკაშვილს და ეს იქნებოდა ბუშისთვის კვირის საუკეთესო შეხვედრა. ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ასე აღარ

ხდება, მაგრამ რა განსაზღვრავს ქვეყნის ურთიერთობებს – საერთო ინტერესები, თუ ლიდერების პირადი ურთიერთობები? მე მგონია, რომ პირველი.

საქართველოში ამ ბოლო დროს ეჭვი შეაქვთ ამერიკის მხარდაჭერაში, რაც ორმხრივი ურთიერთობისთვის სასარგებლო არ არის. აშშ-ში ფიქრობენ, რომ საქართველოსთვის ბევრი რამ გავაკეთეთ და ეს ის ხაზია, რომლისთვისაც არასდროს გადაგვიხვევია. ჩვენ არასდროს დაგვიხვევია უკან რუსეთან მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხზე, სხვა ქვეყნებსაც ვეუბნებით, რომ არ უნდა აღარონ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი. ჩვენ ხელის ერთი მოსმით ყველაფერს ვერ მოვაგვარებთ.

2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ევროპის ქვეყნებს საქართველოსთან დაკავშირებით ამერიკისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ. როგორ შეიცვალა ეს სიტუაცია მას შემდეგ?

განსხვავებები ამერიკასა და ევროპას შორის რჩება, თუმცა დღეს აშშ უფრო რეალისტურად უდგება საკითხს და ხედავს, რომ ევროპელების მხარდაჭერას ვერ მიიღებს. აშშ არ აპირებს მათ იძულებას, რადგან ხვდება, რომ თუ ადმინისტრაცია თავის პოზიციის გატანას ისევ შეეცდება და წააგებს, ეს საქართველოს დააზარალებს. ჩემი აზრით, კრიტიკულია იმისი გააზრება, რომ განსხვავებები, მაგალითად, გერმანიასა და აშშ-ს პოზიციებს შორის ლეგიტიმური ეროვნული ინტერესებისგან წარმოიშვება. ეს იმიტომ არ არის, რომ

ლინკოლნ მიტჩელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესიონალი. ამჟამად მუშაობს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიულ ტრანზიციასა და ამერიკის საგარეო პოლიტიკა და „ვარდების რევოლუცია“.

პატრიკ მიტჩელ, შეთანხმდა თუ არა დასავლეთი იმ საკითხზე, თუ ვინ დაიწყო 2008 წელს შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში?

დასავლეთი შეთანხმდა იმაზე, რაც წერია ტალიავინის კომისიის დასკვნაში. ტალიავინის დასკვნა ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ

ფრანგები და გერმანელები მშიშრები არიან, ან არ ესმით ის საფრთხე, რა-საც რუსეთი ქმნის. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებს აქვთ მასშტაბური ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთ-თან და მათ აქვთ თავისი ინტერესების დაცვის უფლება.

არავის აქვს იმის ილუზია, რომ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანაა, ან რომ აშშ-ს მეგობარია. ჩვენთვის ესაა საქმიანი თანამშრომლობა და არსებობს უამრავი საკითხი, რომელზეც რუსეთთან ერთად უნდა ვიმუშაოთ. მაგალითად, სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულება, ლოჯისტიკის საკითხი ავლანერთში... ჩვენ ვერ ვეტყვით მათ, რომ ვიდრე საქართველოსთან არ მოაგვარებენ ურთიერთობას, არ ვითანამშრომლებთ.

უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს უფრო ახლო ურთიერთობები ევროპას-

მოკრატიის განვითარებაზე, ამერიკის ხედვაც იცვლება. მაგალითად, ყირგიზეთის შემთხვევაში, ობამა გააკრიტიკეს იმისთვის, რომ იგი ლოიალური იყო ბაკიევის მიმართ.

სიმართლე ის არის, რომ აშშ, ერთი მხრივ, ისტორიულად, მხარს უჭერდა დემოკრატიას და, მეორე მხრივ, მხარს უჭრდა ისეთ მთავრობებს, რომლებიც აკეთებდნენ იმას, რაც მას სურდა. ეს არ მგონია, რომ შეიცვალოს. ამ მიდგომის პრობლემა ის არის, რომ შენ იღებ ბაკიევს, იმ ხალხს, რომლებიც ადამიანის უფლებებს ზღუდავენ, და ამის გამო, იძალება ანტი-ამერიკული უკურეაქცია. ჩემთვის, როგორც ამერიკელის-თვის, მანიც გამართლებულია, რომ აშშ-ს მთავრობა ითანამშრომლებს ნებისმიერ მთავრობასთან, მაშინაც კი თუ ეს მთავრობა არ არის დემოკრატიული, იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს კონკრეტული სტრატეგიული

ნატო-სგან. თუ ჩვენ თავიდანვე მოვუწოდებდით, რომ დაეცვათ დემოკრატიის სტანდარტები, საქართველო დღეს უკეთესი ქვეყანა იქნებოდა.

საქართველოში ზოგიერთი „სამოქალაქო საზოგადოებას“ აიგივებს უცხოეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ადგილობრივი სოციალური ბაზა არ აქვთ. როგორ შეიძლება, რომ შეიცვალოს ეს მცდარი საზოგადოებრივი ნარმოდგენა?

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ელიტური არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაზე, მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არაა. სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ქვემოდან განვითარებაზე (grassroots level), გაცილებით უფრო რთულია, და უფრო მეტ

■ ჩვენ ხელი შევუწყვეთ საქართველოს, რომ იმ არასწორ გზას დადგომოდა, რომელმაც ის 2008 წლის აგვისტომდე მიიყვანა. თუ ჩვენ თავიდანვე მოვუწოდებდით ხელისუფლებას, რომ დაეცვა დემოკრატიის სტანდარტები, საქართველო დღეს უკეთესი ქვეყანა იქნებოდა.

თან? მოუხედავად იმისა, რომ ევროპა უფრო ახლოსაა და ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების თვალსაზრისითაც მეტის გაკეთება შეუძლია, ამჟამად ასეთი განსაკუთრებული ურთიერთობები არ ჩანს. რატომ ხდება ასე?

ევროპამ აშშ-ზე გაცილებით ადრე დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების კრიტიკულად შეფასება. ისნი გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმით უყურებენ საქართველოს, ვიდრე – აშშ. ეკონომიკური კრიზისის გამო, ევროპავშირისთვის ამ ეტაპზე ძალიან რთულია ღარიბ ქვეყნებთან თანამშრომლობა. ამის მიუხედავად, ევროპაში გამიგია, რომ საქართველო იწყებს ევროპისკენ ნაბიჯების გადადგმას. მე მგონი, აქ იაზრებენ იმ მოსაზრებას, რომ სწორედ ეს არის საქართველოს მომავალი.

ევროპავშირი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საქართველოში დე-

მიზნები, და მათ კი რაღაც სახის რესურსი აქვთ, რომელიც გვშირდება. პრობლემა და ორივე მხარისთვის წამებებინი პოზიცია ისაა, როდესაც ასეთი ტიპის ქვეყანას წარმოადგენ, როგორც დემოკრატიულს, და შენს მეგობრულ პოლიტიკას ამ მიზეზით ხსნი. მაგალითად, ჩვენი ავტორიტეტი დაზარალდა იმით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ვაცხადებდით დემოკრატიულად. ამის არავის სჯეროდა აშშ-ს გარეთ.

როგორ შეუძლია აშშ-ს დემოკრატიის წახალისება ისეთ ქვეყანებში, როგორიცაა მაგალითად საქართველო?

2004-2005 წლებში „ვარდების რევოლუციის“ მთავრობამ გადაწყვეტა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება დემოკრატიის ხარჯზე მომხდარიყო. ჩვენ ხელი შევუწყვეთ ქვეყანას, რომ იმ არასწორ გზას დადგომოდა, რომელმაც ის 2008 წლის აგვისტომდე მიიყვანა. გავაუცხოეთ იგი ევროპისგან და

დროს მოითხოვს, თუმცა ეს არის ის საფუძველი, რომელზეც გააზრებული, ძლიერი და გამძლე დემოკრატია დგას. როდესაც ხალხი არ ენდობა ერთმანეთს, არ მუშაობს ერთად, ძველი სისტემის მემკვიდრეობა მყარად დგას. ამ პირობებში ძლიერი სახელმწიფოს აშენება რთულია. ეს საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობაა, და თუ ამას არ მიაქცევ ყურადღებას, ვერ მიიღებ ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას.

საქართველოში ბიზნესის თავისუფლებასთანაც არსებობს გარკვეული პრობლემები. ზოგი ფიქრობს, რომ საქართველოში ბიზნესები ძირითადად პროსმთავრობოა, ან მათ ეშინიათ ოპოზიციური პარტიების დაფინანსების. ამ ფონზე უცნაურია, რომ არსებობს ძლიერი ლიბერტარიანული ფრთა მთავრობაში, რომელიც სწორედ ბიზნესის თავისუფლებას ქადაგებს.

თუმცა, ეს არ არის მთავრობა, რომელიც ლიბერტარიანული პლა-

ტფორმით აირჩიეს. სახელისუფლებო პარტია იმდენად დიდია, რომ ძნელია ერთანი იდეოლოგიის განსაზღვრა. პრობლემა ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, ის არის, რომ ბიზნესები ბუნებრივად არიან მთავრობასთან დაახლოებული. „ნაციონალურ მოძრაობას“ და სხვა პარტიებს შორის განსხვავება საქართველოში არ არის იდეოლოგიური. ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ სახელისუფლებო პარტია ძალაუფლებას ფლობს და სხვები – არა. ბიზნესებს იზიდავთ ისეთი პარტიები, რომლებიც ძალაუფლებას ფლობენ. პრობლემა იქმნება იმიტომ, რომ ბიზნესებს, რომლებსაც ოპოზიციის მხარდაჭერა უნდათ, ჩაგრავენ.

აქვე კიდევ ერთი პრობლემა, საქართველოში პარტიები არ არიან დაყოფილი იდეოლოგიის (მემარცხენეობის და მემარჯვენეობის) მიხედვით. რამდენად მომგებიანი იქნება ქვეყნისთვის ამგვარი დაყოფა?

ამ ეტაპზე პარტიები პოლიტიკური პროგრამების შიხედვით ერთმანეთის თისგან დიდად არ განსხვავდებიან. პოლიტიკურ საკითხებზე არანაირი რეალური დებატები არ არსებობს. პარტიული სტრუქტურა საქართველოში სუსტად არის ჩამოყალიბებული და ეს არის პრობლემა. საქართველო დემოკრატიული გახდება არა მას შემდეგ, რაც რამდენიმე გაერთიანება და „ნაციონალურ მოძრაობას“ დაამარცხებს, არამედ მაშინ, როდესაც იქნება რამდენიმე პარტია, რომელიც რეგულარულად იბრძოლებს ხელისუფლებისთვის: ერთ წელს მოიგებს, მეორე წელს წააგებს. ამჟამად საქართველოში არის მეოთხე ერთპარტიული სისტემა ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, და ნამდვილად არ სჭირდება, რომ ჰქონდეს მეხუთე.

და რატომ არ აქვთ ქართულ პარტიებს სოციალური ბაზა? მაგალითად, ევროპაში სოციალ-დემოკრატებს ჰყავთ ძლიერი მუშაობა კლასის ამომრჩეველი...

ერთი მიზეზი ის არის, რომ პატარა ქვეყანაა, მეორე მიზეზი კი ის არის, რომ როდესაც საბჭოთა

კავშირი დაიშალა, არ იყო ძალიან დიფერენცირებული ელექტორატი. თუ ქვეყანაში ყველა უმუშევარია, აქ უკვე იდეოლოგიური განსხვავებები არ მუშაობს. პრობლემა ის არის, რომ ინტერესთა ჯგუფების გარეშე, ძლიერი პარტიული სისტემა არ არსებობს. არჩევნებზე ვის აძლევს ამომრჩეველი ხმას? – იმას, ვისთანაც უფრო ახლოს არის, ვისგანაც მიიღებს მხარდაჭერას. ეს ბუნებრივი პოლიტიკური აზროვნებაა. მემარცხენე-მემარჯვენე დაყოფა ისეთ ქვეყნებში, მაგალითად როგორიცაა ინგლისი, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

როგორ არის ერთმანეთზე დამოკიდებული დემოკრატია და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება?

თუ საქართველო არ იქნა დემოკრატიული ქვეყანა, მაგალითად, ის ვერ შეძლებს ევროპასთან კავშირების გაბმას, ასევე ვერ შეძლებს უცხოური ინვესტიციების მიღებას.

და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მცირე ბიზნესები, მცირე პროფესიული სააგენტოები (რეკლამის, საადვოკატო, თუ არქიტექტურული...) არ ვითარდება ავტორიტარულ ქვეყნებში, ისინი ვითარდება მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში. ვიდრე აქ დემოკრატიული ლინებულებები არ გამყარდება, ძალიან რთული იქნება ამ მხრივ წარმატების მიღწევა. ბოლო 10 წლის განმავლობაში იყო გარკვეული წინსვლა, თუმცა კვლავ დიდი გზაა გასავლელი.

როგორ შეიცვალა ბოლო დროის განმავლობაში დასავლეთში საქართველოს ალქმა?

ორივეგან – აშშ-შიც და ევროპაშიც, საქართველოს მთავრობის ახლო ურთიერთობები ბუშის ადმინისტრაციასთან უკურეაქციას ინვევდა. არა გადაწყვეტილების მიმღებ წრეებში, სადაც ესმით, თუ რა სტრატეგიული მიზნების გამო ვუჭერთ მხარს საქართველოს, არამედ შედარებით ქვედა დონეზე. დღეს სააკაშვილზე, როგორც უკანასკნელ ნეოკონსერვატორზე, მხოლოდ ამერიკის შიდა პოლიტიკურ წრეებში მსჯელობენ. მემარცხენებს შორის, რომელიც

ამჟამად აშშ-ში დომინანტი ძალაა, საქართველო მემარჯვენების პროექტად განიხილება.

როდესაც ერთ ჩემს მეგობარს ვუთხარი, რომ ვმუშაობდი საქართველოში, მან მეტითა: „ეს ის ქვეყანა არ არის, რომელსაც ძლიერი მემარჯვენე პრეზიდენტი, პრეზიდენტ ჯონჯ ბუშის მეგობარი მართავს?“ მე ვუთხარი, რომ ეს ასეთი მარტივი საკითხი არ არის, მაგრამ ის ასე ფიქრობდა.

რაც შეეხება მეცნიერულ წრეებს, აქ არიან ორი ტიპის ადამიანები: ისინი, ვინც ვაშინგტონის კვლევით ცენტრებში, მაგალითად როგორიცაა ინგლისი, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

რაც შეეხება მეცნიერულ წარმატებული დემოკრატიის ქვეყანაა. საქართველოს განიხილავენ, როგორც სტრატეგიულ მოკავშირეს და მეგობარს. ბუშის ადმინისტრაციის შემდეგ, როგორც გითხარით, სწორედ ეს მიღგომა შეიცვალა.

რაც შეეხება მეორე ტიპის ადამიანებს – უნივერსიტეტის მკვლევრებს.

მათ აინტერესებთ, რაზეა დაფუძნებული საქართველოსა და ამერიკის

სტრატეგიული ურთიერთობები.

შეიძლება თქვენმა მკითხველმა არც დამიჯეროს, მაგრამ როდესაც საქართველოზე ვწერ, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერებისგან მესმის, რომ გაზპრომის ფული ავიდე, რადგან თურმე ვინც საქართველოს აკრიტიკებს, ყველას გაზპრომი აფინანსებს, რაც სულელური ლოგიკაა. შემდეგ ვისმენ ამერიკელი პროფესიონების რეაქციას, რომლებიც თავის მხრივ მეუბნებიან, რომ საქართველოში ჩემს მეგობრებს ვიცავ; რომ სააკაშვილს ვიცავ, როგორც ვამბობ, რომ სააკაშვილს კარგი მხარეებიც აქვს და მისი პრეზიდენტობის განმავლობაში ის ბევრ ძალიან რთულ სიტუაციამი მოხვდა, მეუბნებიან, რომ ჩემს ქართველ მეგობრებს ვიცავ. ც

ესაუბრა გიორგი ცხადას



ბომბები სხინძალის თავზე

რეცენზია რონალდ ასმუსის წიგნისა „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო:

საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“

(ნიუ-იორკი: გამომცემლობა Palgrave Macmillan, 2010)

თომას დე ვაალი, ვაშინგტონი



ქართველი ჯარისკაცები გორთან, აგვისტო 2008

13 მარტს, საღამოს 8 საათზე ერთ-ერთმა წამყვანმა ქართულმა ტელეარხმა ქვეყანა მოში დაბრუნა. პროსახელისუ-ფლებო ტელეკომპანია „იმედის“ წახე-ვარსაათიანმა გადაცემამ მაყურებლებს საშინელი სცენარი დაუხატა: რუსული ტანკები დეაქალაქისკენ დაიძრა, რათა კრემლს დასრულებინა ის, რაც 2008 წლის აგვისტოში განუხორციელებული დარჩა; პრეზიდენტი სააკშივილი ქვეყნი-დან გაიქცა, თუ მოკლეს; ხელისუფლე-ბაში კი მოსკოვის ერთგული „სახალხო მთავრობა“ მოვიდა, რომელსაც სათავე-ში ორი ყოფილი მაღალჩინოსანი ჩაუდ-გა; არმიის სამი ბატალიონი რუსების მხარეს გადავიდა.

ეს ვირტუალური რეალობა იყო. მალე-ვე სატელევიზიო სტუდიაში შემოვიდა წამყვანი და გამოაცხადა, რომ სიუჟეტი ინსცენირებულია და ტყუილის შეთხზეა იმისთვის გახდა საჭირო, რათა ყველას გაეცნობირებინა, თუ რა რეალური საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა.

თუმცა, ათასობით ადამიანმა, გან-საკუთრებით რეგიონებში, სადაც ინ-ფორმაციის ალტერნატიული წყაროები ცოტაა, გულწრფელად დაიჯერა, რომ ქვეყანაში კვლავ ომი მძინვარებდა; დაიწყო პანიკა და გადაიტვირთა მო-ბილური სატელეფონო ქსელები. დე-დაქალაქში კი, „იმედის“ შენობასთან გადაცემის გასაპროტესტებლად ხალხი შეგროვდა.

მეორე დღეს, ბოლნისის მოსახლეო-ბასთან შეხვედრისას პრეზიდენტი სა-აკშილი მოდელირებულ ომს გაემიჯნა და განაცხადა, რომ „იმედს“ დადგმული რეპორტაჟის აღმინიჭებული ტიტრები უნდა გაეშვა. თუმცა, მალევე, საკუ-თარი განცხადების საპირისპიროდ, მან სიუჟეტს მხარი დაუტირა, როდესაც გა-ნაცხადა, რომ „ყველაზე არასასიამოვნო გუშინდელ სიუჟეტში, და მე მინდა, რომ ხალხმა ეს კარგად გაიგოს, იყო ის, რომ იგი ძალიან ახლოსაა იმასთან, რაც შეი-ძლება სინამდვილეში მოხდეს და რაზეც საქართველოს მტერი ფიქრობს“.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულ-და, როდესაც ვებგვერდზე www.copoka.net-ზე „იმედის“ დირექტორის გიორგი არველაძესა და მის მოადგილეს შორის, საკარაულოდ, შემდგარი საუბარი გამო-ქვეყნდა. ისმის, თითქოს არველაძე, რო-მელიც სააკშილის ახლო გარემოცვის

წევრია, აცხადებს, რომ პრეზიდენტმა სიუჟეტი მოიწონა და უფრო მეტიც, ტი-ტრების გაშვების წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან „თუ ხალხს წინასარ გავაფრთ-ხილებთ, სიუჟეტი მთელ ხიბლს დაკარ-გავს“. არველაძემ და მისმა მოადგილემ ამ საუბრის აუთენტურობა უარყვეს. ქართველმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ საუბარი რუსული სპეციამსახურე-ბის მიერ იყო გაყალბებული.

ამ სამი დღის განმავლობაში ისედაც ემოციურ ქართველ ხალხში ვნებათ-ლელვამ იმატა. და საგარაულოდ, უა-ხლოეს მომავალში ასეთივე ემოციური მუხტი შენარჩუნდება. არ აქვს მნიშვ-ნელობა, პირადად მოიწონა თუ არა სა-აკშილმა ეს სიუჟეტი. არველაძესთან მისი სიახლოების გათვალისწინებით, ძნე-ლი დასაჯერებელია, რომ სიუჟეტი მისი სანქციის გარეშე გასულიყო. ფაქტია, ქართველმა ლიდერმა „რუსული საფრ-თხე“ თავისი პრეზიდენტობის ვადის დარჩენილი სამი წლის მთავარ თემად აქცია.

იგი მუდმივად აფრთხილებს ქართვე-ლებს, რომ 1921 წლის განმეორების სა-შიშროება რეალურია. მაშინ ბოლშევიკე-ბმა საქართველო დაიპყრეს და ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის პირველი მცდელობა ჩაკლეს.

საკაშილის რიტორიკა კიდევ უფრო გამადაფრდა მას შემდეგ, რაც ექს-სპი-კერმა ნინო ბურჯანაძემ და ექს-პრე-მიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიძელმა რუსეთთან პირდაპირ საუბრის ტაბუ დაარღვიეს და სააკშილის მტერს, რუ-სეთის პრემიერ-მინისტრს – ვლადიმირ პუტინს შეხვდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი უფრო მეტ მრისხანებას ვეღარ გამოხატავს, ეს ბრაზის პაკია. ორივე მხარე შეუ-რაცხმყოფელი ფრაზების გაცვლა-გა-მოცვლითაა გართული და ერთმანეთს მოღალატეობასა და მტრობაში სდებენ ბრალს. მათი რიტორიკა ძალიან წააგავს 1991 წლის ნაციონალისტური მღელვა-რებისა და 1930-იანი წლების სტალინის-ტური ეპოქის ენას.

რუსული საფრთხე რომ რეალურად გავშიფროთ, აუცილებლად მოგვინევს, დავუბრუნდეთ 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებს და ძველ კითხვას: „ვინ არის დამნაშავე?“ ვუპასუხოთ. მარშალის

ფონდის ტრანსატლანტიკური ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, რონალდ ასმუსს, ამ კითხვაზე პასუხი უკვე აქვს. მან ამ პასუხს მთელი წიგნი მიუძღვნა.

ასმუსისთვის 2008 წლის ომი საქარ-თველში რუსეთის მიერ წინასწარ დადგმული ინტერვენცია იყო, რომე-ლიც საკაშილის დასავლეთისაკენ სწრაფვის შეჩერებას ისახავდა მიზნად. რუსეთი სჯიდა პატარა მეზობელს, რო-მელმაც გაბედა და მას განუდგა, რად-გან დემოკრატის განვითარების დასა-ვლერი მოდელი აირჩია: „რაც უფრო წარმატებული ხდებოდა თბილისი, მით უფრო მატულობდა მოსკოვში მტრული განწყობები“. ასმუსი კიდევ უფრო შორს მიდის და „ცივი ომის“ დროინდელ რი-ტორიკას იყენებს:

ბალტიდან შავ ზღვამდე ერთიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობა ბუშის ადმინისტრაციამ მისი მმართვე-ლობის ცენტრალურ დერძად აქცია. მიუხედავდა თბილისის შეცდომებისა, მოსკოვმა ის ძირითადი ცნებები და საკვანძო პრინციპები დაარღვია, რაზეც ევროპის უსაფრთხოება უნდა ყოფი-ლიყო დამყარებული.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასმუ-სისთვის წამყვანი ევროპული ინსტიტუ-ტი წატო-ა, და არა – ევროკავშირი, ხოლო შეერთებული შტატების მოვა-ლეობაა, რუსეთის მზარდი აგრესის ფონზე, პატარა ერების უსაფრთხოების გარანტია.

ამ სტრატეგიის გამოცდის დრო სა-ქართველოში დადგა, რადგან საქართვე-ლო მოსკოვის რევიზონისტული დო-ქტრინის მამაცი გამოწვევა იყო.

ეს სარისკო თეზისა, რომელიც წატო-ს ავალებულებს, დაიცვას ის ლიდერე-ბი, რომელებიც დასავლეურ ლირებულე-ბებს კი აღიარებენ, მაგრამ რუსეთთან მიმართებაში საკუთარი დღის წესრიგით მოქმედებენ. ასმუსი ასე მოქცევას ამ ურთიერთობების დეტალების შესწა-ვლის გარეშე გვთავაზობს.

რა თქმა უნდა, 2008 წლის აგვისტოში მოსკოვმა უმოწყალიდ გამოიყენა თბი-ლისის ტერიტორიული კონფლიქტები. რუსებმა ჯერ სამხედრო თვალსაზრისით დაამარცხეს საქართველო და შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის და-მოუკიდებლობა აღიარეს, რითიც კიდევ უფრო დაიახლოებეს ეს ტერიტორიები.

რუსი მაღალჩინოსნები სააკშილის

დამცირების შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ. პრეზიდენტმა დიმიტრი მელვედევმა მას პერსონა წონ გრატა უწოდა და განაცხადა, რომ საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა მხოლოდ სააკაშვილის წასვლის შემდეგ აღდგება. ცონბილია ისიც, რომ ომის დროს ვლადიმირ პუტინმა საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის უთხრა, რომ სააკაშვილის „ერთი ადგილით“ დაკიდება სურდა. ამან მოსკოვის ზრახვებთან დაკავშირებით ქართველების შიშები კიდევ უფრო გაამძაფრა;

რუსული ჯარი დღესაც დგას თბილისიდან მხოლოდ 30 მილის დაშორებით. მაგრამ იქნებ რუსებს აკმაყოფილებთ, თუ დასუსტებული ქართველი პრეზიდენტი საშინაო გარჩევებში გაიხლართე-

ნიგნი სატელიტიდან გადაღებულ ფოტოს ჰქავს.

საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ყოველთვის ყველაზე მიმზიდველი იყო.

საქართველომ მეც მომზიბლა. თუმცა, კავკასიურმა ენერგიამ შეიძლება საშიში კონტურები შეიძინოს.

ქართული ენერგია 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შთაგონების წყაროდ იქცა. რევოლუციამ ქვეყნის სათავეში ქარიზმული ახალგაზრდა ლიდერი – მიხეილ სააკაშვილი მოიყვანა, მაგრამ ქვეყნის გრძელვადიანი პრობლემების გადასაჭრელად სხვა, უფრო მოსაწყენი თვისებებიც იყო საჭირო.

2004 წლის შემდეგ ორი საქართველო გაჩნდა. ერთი იყო საქართველო, რო-

ყურადღებით არ ჰქონდა შესწავლილი. მისი იდეალიზებული ნამბობი რეალურ საქართველოს კარგს არაფერს აძლევს. ასმუსი 2008 წლის ომის მოვლენებს ისე ჰყვება, რომ სრულიად გამორიცხავს საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობას:

„საქართველოს პრეზიდენტმა მოხეილ სააკაშვილმა ყურმილი დაკიდა. თბილისში 7 აგვისტოს ღამის 23 საათი და 35 წუთი იყო. მან ეს წუთია, უბრანა შეიარაღებულ ძალებს, რომ თავს დასხმოდნენ, დაზვერვის ინფორმაციის თანახმად, საქართველო-რუსეთის საზღვრის სამხრეთით... ჯავადან ... ცხინვალისაკენ და ასევე როკის გვირაბის გავლით რუსეთიდან საქართველოში ბრალეულობას:

■ ასმუსმა უცხოური ბრენდის იმპორტირება ისე დაიწყო, რომ პროდუქტი ყურადღებით არ ჰქონდა შესწავლილი. მისი იდეალიზებული ნამბობი რეალურ საქართველოს კარგს არაფერს აძლევს. ასმუსი 2008 წლის ომის მოვლენებს ისე ჰყვება, რომ სრულიად გამორიცხავს საქართველოს ხელისუფლების ბრალეულობას.



რუსი ჯარისკაცები, აგვისტო 2008

ბა და პროდასავლური დღის წესრიგის განხორციელებას ვეღარ შეძლებს? ეს მოსკოვს საშუალებას აძლევს, სტატუს-კოც შეინარჩუნოს და სხვა საკითხებზეც იმუშაოს – მაგალითად, აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვაზე.

მაგრამ, საქართველოს რეალობა რომ ასე მარტივი იყოს! ასმუსის წიგნის „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ ნაცლი ისაა, რომ ის კავეასიის ადგილობრივ რეალიტებს არ განიხილავს. ასმუსი ესაუბრა მარალინოსნებს ბუშის ადმინისტრაციაში, ნატო-სა და ევროკავშირში. მაგრამ მას არ მოუსმენია რუსების, ისების და იმ ქართველების აზრი, რომლებიც ხელისუფლებაში არ არიან. მისი

მელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი უცხოეთში არნახული წარმატებით ყიდდა, „ვარდების რევოლუციას“ კი პოსტსაბჭოურის პრო-დასავლურად ტრანსფორმაციის წარმატებულ მოდელად წარმოაჩენდა.

და იყო მეორე საქართველო – ადგილობრივ რეალიები, პრობლემებში ქრონიკულად ჩაფლული; კვლავ ნაციონალიზმისა და დაქუცმაცების საფრთხის წინაშე მდგარი, პოლიტიკური ინტრიგების მახეშვირი გაბმული.

ასმუსმა უცხოური ბრენდის იმპორტირება ისე დაიწყო, რომ პროდუქტი

მიმავალ რუსული ძალების კოლონას. მან ასევე უბრანა შეიარაღებულ ძალებს, აღეკვეთათ სამხრეთი ოსეთის ბანდფორმირებების მიერ ...იმ ქართული სოფლების დაცხრილვა, რომლებსაც ქართველი მშეიდობისმყოფელები... და პოლიცია აკონტროლებდა. ეს დაცხრილვა უკანასკნელი კვირის განმავლობაში დროგამოშვებით გრძელდებოდა, მაგრამ იმ საღამოს განახლდა და უფრო ინტენსიური გახდა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ცალმხრივად ცეცხლის შენკვეტის ბრძანება გასცა. ქართული მოსახლეობა და მშვიდობისმყოფელები დაიჭრნენ და დაიღუპნენ. იგი შეყოვნდა, კვლავ აიღო

ტელეფონი და მესამე პრძანება გასცა: „მინიმუმამდე დაიყვანეთ სამოქალაქო მსხვერპლი“.

აგვისტოს ომის დაწყების ამ ვერსიის ყველა მთავარი პუნქტი მცდარია: ის, რომ პირველი აგრძელული სელა რუსეთისა გააკეთა, რომ თბილისის თავდასხმა-მდე რამდენიმე საათით ადრე სამხრეთ ოსებმა ქართული სოფლები დაცხილეს, და ისიც, რომ ქართული ხელისუფლება სამოქალაქო მსხვერპლის თავი-დან არიდებით იყო დაინტერესებული.

სააკაშვილის მესიჯის თანახმად, მისი ქვეყანა უპირობო მსხვერპლია. რუსეთი საქართველოს ტერიტორიის დასაპყრობად მას შემდეგ შემოვიდა, რაც ოსები, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, თავს და-ესხნენ ქართულ მშვიდობიან მოსახლე-ობას.

ეს მესიჯი კარგად არის ფორმული-რებული დასაცემის დედაქალაქების-თვის, მაგრამ სიმართლისგან შორსაა.

პირველ განცხადებაში ეჭვის შესატანად – რომ რუსული სამხედრო კოლონა 7 აგვისტოს ღამის 12 საათამდე ცოტა ხნით ადრე სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე შეიქრა – მხოლოდ ქართული წყაროებიც საკმარისია.

ფაქტობრივად, ქართველმა ლიდერებმა ამის შესახებ მხოლოდ ომის მეორე დღეს განაცხადეს. 8 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლებამ ნიუ-იორქში გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიმართა და განცხადა, რომ რუსული ჯარი როკის გვირაბის გავლით იმ დილით – 5 საათსა და 30 წუთზე შემოვიდა, ანუ ქართული თავდასხმის დაწყებიდან 6 საათის შემდეგ.

იგივე ენერა 9 აგვისტოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ განცხადებაში, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში საგანგბო მდგომარეობა უნდა გამოცხადებულიყო.

მეორე მტკიცება, რომ სააკაშვილმა თავდასხმის პრძანება 7 აგვისტოს, საღამოს, მას შემდეგ გასცა, რაც სამხრეთი ოსეთის მხრიდან ქართული სოფლები იცხილებოდა, ნინაალმდეგობაში მოდის ეუთო-ს სამი საერთაშორისო დამკვირვებლის მიერ მომზადებულ ანგარიშთან. ეს დამკვირვებლი, რომლებიც იმ ღამეს ცხინვალში იმყოფებოდნენ და მოგვიანებით სარდაფებს შეაფარეს თავი, ქართული სოფლების არტილერიით და-

ბომბვას აუცილებლად გაიგონებდნენ, განსაკუთრებით ღამის სიჩუმეში. მათი კონფიდენციალური ანგარიში – უკვე გამულავნებული საიდუმლო თბილისში მყოფი დაპლომატებისთვის, რომელიც სამი თვის შემდეგ ნიუ-იორკ ტაიმსშიც დაიბეჭდა – განმარტავდა, რომ 7 აგვისტოს საღამოს სინქარანე იყო, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება თავდასხმას დაიწყებდა.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მიერ თითქოსდა გაცემულ პრანგებას სამოქალაქო მსხვერპლის მინიმუმამდე დაყვანის თაობაზე, 7-8 აგვისტოს საარტილერიო დაბომბვების დროს ათობით მშვიდობიანი ოსი დაიღუპა და ის ფატი, რომ უფრო მეტი მსხვერპლი არ იყო, საგარაუდოდ, ნინა დღეებში ქალაქის ფართომასშტაბიანი ევაკუაციით არის განპირობებული და არა ქართული არმიის გულმოწყალებით.

გროვნოებებმა კარგად იციან, რომ საბჭოური ეპოქის ბომბდამშენი „გრადი“ (რუსულად სეტყვას ნიშნავს), რომელიც ქართველებმა ცხინვალის სამიზნებზე დარტყმისას გამოიყენეს, ისეთი იარაღია, რომელიც განურჩევლად ასახიჩრებს და კლასურებაზე დასახლების მშვიდობიან მოსახლეობას.

აგვისტოს ომის შესახებ ანგარიშში „ამნესტი ინტერნებშნლ“ ასკვნის, რომ „დამკვირვებლების თემით, ცხინვალის დასახლებულ ადგილებში გრადის მიერ 7 აგვისტოს ღამეს მიყენებული ზარალი დაფიქსირდა, სულ მცირე, ნახევარი კილომეტრის დაშორებით ნინასნარ განსაზღვრული სამხედრო სამიზნებიდან“.

ამჟამად ომის დაწყების შესახებ თითქმის სრული სიმართლე ვიცით, განსაკუთრებით კონფლიქტის შესახებ ევროკავშირის 2009 წლის დეტალური ანგარიშის შემდეგ, რომელიც ძალიან განსხვავდება დასავლეულ მედიაში აგვისტოს მიზე გავრცელებული ვერსიებისგან.

ნამდგილი ვერსიი მეტ-ნაკლებად ასე გამოიყერება: 2008 წლის 7 აგვისტოს, სამხრეთი ოსეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში რამდენიმევირიანი, დაბალი ინტენსივობის შეტაკებების შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ცხინვალზე იერიშის მიტანა და ქალაქის დაკავება გადაწყვიტა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში რუსები თავიანთ შემადგენლობას, განსაკუთრებით მიკერძოებული მშვიდობისმყოფების რიგებს ზრდიდნენ და დიდი ალათობით თავადვე გეგმავდნენ რაღაც ოპერაციას. შესაძლოა, სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე ალტერნატიული პრო-ქართული ლიდერის დამხობას.

დაბეჭიობით შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი ერთდროულად მუქარისა და პროვოკაციის მსხვერპლი გახდა, მაგრამ პირველმა სწორედ მან დაარტყა.

რუსები ცოტა ხნით გაონგდნენ – ვლადიმერ პუტინი პეტრიში ლიმპიური თამაშების გახსნას ესწრებოდა. სათანადო პასუხის გასაცემად მათ ნახევარი დღე დასტირდათ.

ქართულმა ჯარებმა ცხინვალის უდიდესი ნაწილი დაიკავა და 24 საათის განმავლობაში სააკაშვილი ბევრი ქართველისთვის გმირი იყო. ის და სხვა ქართველი ლიდერები სამხრეთი ოსეთის „განთავისუფლებაზე“ საუბრობდნენ.

მაგრამ ქართული თავდასხმის ოპერაციას მალე პროფესიონალი ჯარისკაცები გამოელია. რეზერვისტები ბრძოლისთვის მზად არ იყვნენ, ხოლო დამატებითი ძალები ერაყიდან ჩამოსვლას აგვიანებდნენ.

კრემლი კი მხოლოდ რამდენიმე საათით შეყვნდნა. პუტინს არნახული შესაძლებლობა მიეცა, შეური ეძია ლიდერზე, რომელსაც ვერ იტანდა, და საკუთარი ამპიციებისთვის მეტი გასაქანი მიეცა.

რუსულმა თვითმფრინავებმა საქართველოს ტერიტორია დაბომბდეს. რუსული სახმელეთო ძალების რიცხვობრივი და ტექნოლოგიური უპირატესობა მაღლებრივი მეტანარჩევის და შემდეგ დანარჩენი ევეყანა მოითარებს. ამ ომს ხეთდღიანი ეწოდა, თუმცა ბრძოლები მხოლოდ 2 დღეს გრძელდებოდა.

რა საჭიროა ამ ქველი დეტალების გახსენება? როგორც უისტორი ჩერჩილმა თქვა, „ნარისულის შეცდომებით მიღებული სარგებელია ანმყოში ეფექტური მოქმედებების განხორციელება“. ანუ, მთავარი იდეა აქ ისაა, რომ არსებობს აგვისტოს ომის ორი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული მიზეზი. ერთია პუტინის რუსეთის მიერ მის სამეზობლოში ნეკორელონიური კუნთების დამდგენლად დიდი სისასტე; და ამას საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმევირიანი ანგარიშის შემდეგ რომელიც ძალიან განსხვავდება დასავლეულ მედიაში აგვისტოს მიზე გავრცელებული ვერსიებისგან.

და მეორე – პუტინის ქმედებებისთვის კიდევ ერთი სტიმული იყო ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კრემლს რეგიონში ტემპერატურის მომატების საბაბი მისცა. თბილის სეპარატისტული საზღვრების მახლობლად საკუთარი ჯარის შემადგენლობას ზრდიდა და მუდმივად ხაზს უსვამდა, რომ ორივე ტერიტორიის დაბრუნება ახლო მომავლის საქმე იყო.

სააკაშვილი ამ ორი ტერიტორიის დაბრუნების იმპულსური მცდელობა ძვირად დაუვადა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარება ისე დაიძაბა, რომ ომის სუნი პაერში უკვე 2008 წლის დასაწყისში ტრაილებდა.

საქართველოს პრეზიდენტმა სამხედრო გზა იმავე ზაფხულს აირჩია.

ვდა. სააკაშვილმა გარისკა.

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ამ მხრივ მას ნაკლები ბრალი მიუძლვის, ვიდრე მის დასავლელ მეგობრებს – განსაკუთრებით ვაშინგტონიდან, რომლებსაც უფრო ფართო სურათის და უფრო დიდი საფრთხეების დანახვა შეეძლოთ. თუმცა, მათ ქართველი ლიდერის ყველაზე ცუდი ინსტრიქტების მოთოკვა ვერ შეძლეს.

სამხრეთი ოსეთის ადგილობრივი კონფლიქტი გლობალურში გადაიზარდა. ეს ის გაკეთილია, რომელიც შეერთებულმა შტატებმა კარგად უნდა დაიმახსოვროს, თუ იგი რუსეთის სამეზობლოში კვლავ დააპირებს მოსკოვთან დაპირისპირებას.

სისხლიანი კონფლიქტების დროს ათასობით სამხედრო გაგზავნეს, აფხაზეთში გაერო-მ 100-ზე მდინავ მეტი შეეუარაღებელი დამკვირვებელი მიავლინა, ხოლო ეუთო-მ სამხრეთ ოსეთში – კიდევ უფრო ნაკლები.

ეს მოკრძალებული ჩარევა იმ არასწორ გათვლებიდან გამომდინარეობს, რომ ეს რეგიონი დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არ გახლდათ; გაცილებით უფრო რთული იყო გაცლენის მოხდენა 2008 წელს, ვიდრე ეს 1993-ში იქნებოდა შესაძლებელი.

ამის ნაცვლად, რუსეთს გზა გაეხსნა სამშეიდობო ძალების საშუალებით აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ფაქტობრივი ანექსირებისთვის.



მიხეილ სააკაშვილი და ჯორჯ ბუში პარლამენტის ეზოში, თბილისი 2005

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ამ მხრივ სააკაშვილს ნაკლები ბრალი მიუძლვის, ვიდრე მის დასავლელ მეგობრებს – განსაკუთრებით ვაშინგტონიდან, რომლებსაც უფრო ფართო სურათის და უფრო დიდი საფრთხეების დანახვა შეეძლოთ. თუმცა, მათ ქართველი ლიდერის ყველაზე ცუდი ინსტრიქტების მოთოკვა ვერ შეძლეს.

სავარაუდოდ, მას სჯეროდა, რომ სამხრეთ ოსეთში სწრაფ სამხედრო ოპერაციას 24 საათში ჩაატარებდა. შემდეგ, გამარჯვების აღნიშვნისას იგი მზად იყო, თუნდაც ამერიკის საყვედურები მოესმინა.

სააკაშვილი რთული არჩევნის წინაშე იდგა. იმ საბედისწერო ღამეს მან ძალიან დაძაბულ ვითარებაში, სამხრეთ ოსეთში სავსებით რეალური რუსული საფრთხის ფონზე, უცაბედი გადაწყვეტილებები მიიღო. აქ, ამ პატარა მინის ნაგლეჯზე, სადაც ქართული და ოსური სოფლები ერთმანეთშია გადახლართული, გზის ჩახერგავა ან ახალი საგუშაგო პოსტის გახსნა ერთი ან მეორე თემის ალყაში მოქცევას ან იზოლაციას ნიშნა-

თხუთმეტი წლის წინ, ამერიკის მთავარი ცოდვა კავკასიონსადმი ზედმეტი ინტერესი კი არა, პირიქით, ინტერესის ნაკლებობა იყო. რონ ასმუსი მართალია, როცა წერს, „თუ საერთოშორისო საზოგადოება კავკასიის რეგიონში ისეთივე პოლიტიკურ ნებას, სტრატეგიულ ნარმოსახვებს და რესურსებს გამოიყენებდა, როგორც ბალკანეთში, და სტატუსაზე დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად ისეთივე საერთოშორისო პროცესებს შექმნიდა, მე... მჯერა, რომ პროგრესის მიღწევა (აფხაზეთშიც) შესაძლებელი იყო“.

მე ამ თვალსაზრისს ვიზიარებ. განსხვავებით ბალკანეთისაგან, სადაც დასავლურმა ქვეყნებმა იუგოსლავის

თუმცა, სწორედ გადაუწყეტელი კონფლიქტებისა და ისტორიულად რუსული გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნის ნატო-ში შეეყანის პროცესი დაიწყეს ასმუსმა და სხვებმა.

მე ეს საკითხი ამ კუთხით შეგნებულად შემოვაბრუნე. ბუნებრივია, სააკაშვილსა და მის მეგობრებს პეტრი მარტინებს, მაგრამ მათი იმედები ასე გაზვიადებული არ იქნებოდა, რომ არა – ვაშინგტონის მწვანე შუქი.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, დასავლეთის ლიდერებს საქართველოსთვის ფინანსი მოდელი შეეთავაზებინათ – ევროპასთან დაახლოება ეკონომიკური

გზით, და არა – სამხედრო ალიანსის სა-
შუალებით.

ქართველებს ეს არ ესიამოვნებოდათ, მაგრამ ისინი ამ გზავნილს მიიღებდნენ და საკუთარ გეგმებში შესაბამის ცვლილებებს შეიტანდნენ.

სააკავშიროის საქართველოს ყველაზე დღიდ მიღწევები ეკონომიკური იყო. მისი მმართველობის პირველი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში სახელმწიფო შემოსავლები თითქმის ათჯერ გაიზარდა, რასაც დღიდ ინვესტიციები, საჯარო სექტორის მასობრივი რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა განაპირობებდა.

პარადოქსია, მაგრამ რა ცი უფრო ხშირად მოიხსენიებდნენ საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“, მით უფრო შორიდებოდა იგი ამ გზას. როგორც თავად ასმუსა ვარაუდობს, „სააკაშვილი ძალანნ მალე ბუშის ადმინისტრაციის „თავისუფლების დღის წერილი“ და დემოკრატიის გავრცელების ძალის სამაგალითო ბავშვი გახდა“.

სააკაშვილი ბუშის მონათესავე სული
იყო: ახალგაზრდა, ენერგიული, აშშ-ში
განათლებამიღებული ლიდერი, რომელ-
საც ბეჭერი ევროპის სიცერთხილისთვის
არ ეცალა. სააკაშვილმა ჯარი გაგზავნა
ერაყში და ამერიკული აუდიტორია თა-
ვისი კარგი ინგლისურით მოხიბდა. სხვა
ფერადი რევოლუციების გაზუნდასთან
ერთად, სააკაშვილის ქართული ექსპე-
რიმენტი უფრო და უფრო აღიარებული
ხდებოდა, მის უარყოფით მხარეებზე კი
ხშირად თვალს ხუჭადნენ.

როგორც ქართველმა ანალიტიკოს-მა ივლიანე ხაინდრავაშ აღნიშნა, სა-აკადემიურ „დღის მთავრობა“ და „ლამის მთავრობა“ ჰყავდა. ვაშინგტონი და სი-ენ-ენი-ს აუდიტორია ახალგაზრდა, კარგ ორატორ, ინგლისურად მოლაპარაკე რე-ფორმატორებს ხედავდა, მაგრამ მათ არ უნახავთ, მაგალითად, ვანო მერძბიშვი-ლი, საკაშვილის შსს მინისტრი და მთა-ვარი აღმასრულებელი; ან ნიკა რურუა, ყოფილი „მხედრიონელი“, და ამჟამად კულტურის მინისტრი.

სწორედ ეს ადამიანები სხედან გვაიან ღამე მის კაპინეტში და დიდ გადა- წყვეტილებებს იღებენ. სწორედ ისი- ნი შეფასდურეობდნენ სადამსჯელო ღონისძიებებს ანტისამთავრობო გამოსვ- ლების წინააღმდეგ 2007 წლის ნოემბერ-ში, როდესაც სპეციალისტების ჯარმა

თბილისის ქუჩები განმინდა და მაშინდელი ოპოზიციური ტელეკარხის „იმედის“ სტუდია დაარსია – და ეს ეპიზოდი ას-მუსის წიგნში თითქმის არ ფიგურირებს. მერაბბაშვილისა და რურუსა მსგავსია ადა-მიანებისთვის კონტროლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატია.

2009 წლის ნოემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“ განაცხადა, რომ „საქართველოს მედია უფრო ნაკლებად თავისუფალი და პლურალისტურია, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“ იყო“.

საგენტო ციიფრული კონცელდებოდა 2008 წლის ომაზე საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებასთან დაკავშირებით. ასმუსი გულწრფელად აღიარებს, რომ 2004 წელს სამხრეთ ოსეთში სამხედრო ოპერაციების დაწყების გეგმა არსებობდა, რომელიც ვაშინგტონში დაბლოკა. 2008 წლის გაზაფხულზე კი აფხაზეთში „ქართული პრევენციული სამხედრო სვლა“ იგეგმებოდა, რადგან რუსები იქ საკუთარ სამხედრო შემადგროვებას ზრდიდნენ.

პრეზიდენტებს – ბუშასა და სააკაზვილს
შორის არასწორად გაგებული სუპრის
შემდეგ ამ უკანასკნელმა, სავარაუდოდ,
დიაჯერა, რომ სამხედრო მოქმედებების
განხორციელებაზე თანხმობა მიღლო. ამ
შთაბეჭდილების განსაქარვებლად მაღა-
ლი რანგის დაპლომატიური ჩარევა გახდა
საჭირო. აშშ-ს მაღალჩინოსნები პირად
სუპრემბში იმეორებდნენ, რომ სამხედრო
კამპანიას მხარს არ დაუჭერდნენ, მაგრამ
საჯაროდ ეს ასე დაბაჟითებით არას-
დროს უთქვამთ. სწორედ აქ შეიძლე-
ბა ვეძებოთ მოციმციმე ყვითელი შუქი,
რომელმაც სააკაზვილს აფიქრებინა, რომ
თუ იგი სწორაფ სამხედრო თავდასხმას წა-
მოიწყოდა. მას ეს შერჩებოდა.

ასტური დასავლეთის ლიდერებს 2008 წლის აპრილში ნატო-ს ბუქარესტის სამიზნე მტკიცე პოზიციის არქონის გამო აკრიტიკებს. მაშინ საქართველოს მაპი არ მისცეს. თუმცა, ეს რუსებს პროვოკაციის უკეთეს საშუალებას მისცემდა. ასმუსი დაბეჭიოთხბით ვერ სსნის, თუ რატომ უნდა მიეღო მთავარ დასავლურ სამხედრო ალიანსს თავის რიგებში ქვეყანა ორი კონფლიქტური ზონით, რომელთა დე ფაქტო მთავრობები რუსეთს საკუთარი უსაფრთხოების გარანტად ამოან.

ამ საკითხის გატანა დასავლეთის ქვეყ-
ნებისთვის ყოველთვის წამგებიანი თამა-

შმი იქნებოდა. როდესაც საქმე გავლენის სფეროების გადანახლებას ეხება, რუსეთი სულ უფრო რთულად და პინძურად თამშობს. რუსებმა საქართველოს მიმართ აფხაზებისა და ოსეპის შიში ამ ტერიტორიებზე საკუთარი დე ფაქტო კონტროლის გასაძლიერებლად მოხერხებულად გამოიყენეს.

მერე, როდესაც 7 აგვისტოს სააკშ-
ვილმა ცხინვალზე იქრიში მიიტანა, რუ-
სებმა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირე-
ბით დაგროვილი გადაზიანება – კოსოვო,
ერაყი, ნატო-ს გაფართოება – საქართვე-
ლოზე გადმოანთხიეს.

სააკაშვილს მისი მეორე ვადის კიდევ სამი წელი აქვს ნინ. ეს წელინადი შეიძლება მისთვის ყველაზე რთული აღმოჩნდეს. 2010 წლის დეკემბრისთვის ამერიკის მიერ ომის შემდეგ საქართველოსთვის მიცემული ერთმილიარდიანი დახმარება თითქმის ამოიწურება. მომდევნო წლებში აშშ-ს ფინანსური დახმარება 60 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი იქნება. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისას დაწყებული პრივატიზაციის ტალღა დასასრულს უახლოვდება, ამიტომ ამ წყაროდან ახალი შემოსავალი ბევრი არ იქნება. ამ შემოდგომაზე საქართველოში მკვეთრი ეკონომიკური კრიზისია მოსალოდნელი, რაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მას მთელი ძალით არ შეხძია.

ამას ყველაზე მეტად შეუძლია საფრთხოების გადასაცემას საქართველოს სტაბილურობის და სააკაშივილის პრეზიდენტობის გადის ხანგრძლოვობას.

როგორც არასდროს, სააკაშვილი ყველა ალტერნატივას ერთდღოულად იყენებს. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა, თემურ იაკობაშვილმა სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის დახვენილი სტრატეგია წარმოადგინა, რომელიც გულისხმობს საქართველოს მთავრობის იზოლაციის პოლიტიკის ეკონომიკური თანამშრომლობით ჩანაკალიბრა.

რეფორმას და ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას გეგმავენ.

ამავდროულად, სააკაშვილს არ ეშინა საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ ყველაზე სასტიკი პოლიტიკური ხერხების გამოყენების.

ყველას მზერა თბილისის მერის არჩევნებისკენ არის მიპყრობილი, რადგან ეს არჩევნები საქართველოს პოლიტიკური მომავლის სავარაუდო ინდიკატორი იქნება. საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი დედაქალაქში ცხოვრობს და სააკაშვილმა 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს იქ ხმათა უმრავლესობის ვერმოპოვების შეურაცხყოფა იგემა.

ეს მისთვის საკუთარი ღირსების და-

სამშვიდობო შეთანხმების მიღწევასთან. თუმცა, სააკაშვილმა ის მალევე დაბლოკა და გაერო-ში ერჩად გადაიყვანა. ალასანიას პატრიოტისთვის აუცილებელი მონაცემები აქვს: მამამისი აფხაზეთში 1993 წელს ომის დასასრულს მოკლეს. თუმცა, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ალასანიას საკუთარი თავის სახალხო ლიდერად გარდაქმნა უჭირს. იგი კარგი მანერებით გამოიჩინება, დიპლომატიურია და წარმატების მისაღწევად მეტისმეტად ყოყმანობს.

ქართული პოლიტიკის ახლანდელი მეტების ფონზე, ალასანიას შევიდმა ხასიათმა შეიძლება მის სასარგებლოდ იმუშაოს და გამარჯვებაში დაეხმაროს. ეს საქართველოს პრეზიდენტის

ტად წარმოჩინება დაიწყოს და ამ პროცესში მფარველისგან საკუთარი თავის გამიჯვნა სცადოს. ეს შეიძლება საქართველოში მანიაკალური პოლიტიკური ბრძოლების დასაწყისი გახდეს.

ამ მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე რთულია, განჭვრიტო, რას მომიქმედებს საქართველოს არაპროგნოზირებადი პრეზიდენტი? რა ინსტიტებს გამოავლენს იგი – კარგს თუ ცუდს?

„იმედის“ ეთერით გასული მოდელი-რეპული სიუჟეტი წინასწარმეტყველებად შეიძლება იქცეს.

კონფლიქტის ზონაში ნებისმიერი მხარის უბრალო პროვოკაცია გაცილებით საშიშ რამები შეიძლება გადაზიარდოს. საქართველოს ახლა უფრო მეტად, ვი-



■ ეს წელიწადი შეიძლება სააკაშვილისთვის ყველაზე რთული აღმოჩნდეს. 2010 წლის დეკემბრისთვის ამერიკის მიერ თმის შემდეგ საქართველოსთვის მიცემული ერთმილიარდიანი დახმარება თითქმის ამოიწურება... ამ შემოდგომაზე საქართველოში მკვეთრი ეკონომიკური კრიზისია მოსალოდნელი.

ბრუნების შანსია. ამჟამინდელი მერი – გიგი უგულავა, სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი და ფავორიტია. იგი ქალაქში მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვითა და შესრულებითაა დაკავებული; მისი სასარგებლოა ახლო საარჩევნო კანონიც, რომლის თანახმად, მას მოსაგებად ხმათა 30 პროცენტი ჰყოფნის. მის ხელთაა ასევე ის მძღავრი იარაღი, რასაც ყოფილი საბჭოთა ჩინოვნიკი არის „ადმინისტრაციულ რესურსს“ უწოდებენ – თანამდებობის გამოყენება ელექტორალური მიზნებისთვის.

უგულავას მთავარი ოპონენტი შთამბეჭდავი ადამიანია. ირაკლი ალასანია – აფხაზებთან მთავარი მომლაპარაკებელი, თავის დროზე საკმაოდ ახლოს მივიდა

დასასრულის დასაწყისი იქნება. საპირისპიროდ, თუ უგულავა ალასანიას სამართლანად დაამარცხებს, ეს დაქუცმაცებული ქართული ოპოზიციის დემორალიზაციას გამოიწვევს და სააკაშვილს გააძლიერებს.

რა თქმა უნდა, მერის არჩევნები არ არის ყველაფერი. სააკაშვილის კანდიდატმა სამართლანადაც რომ გაიმარჯვოს, ეს პრეზიდენტისთვის მაიცდამაინც კარგი ამბავი არ იქნება. სააკაშვილის გუნდი სხვადასხვა, ურთიერთდაპირისპირებულ ფრაქციებადაა გაყოფილი. ტიპური ქართული პოლიტიკის ტენდენციით, დედაქალაქის არჩეულმა მერმა უგულავამ შეიძლება საკუთარი თავის მომავალ პრეზიდენ-

დრე რამდენიმე წლის წინ, პრაგმატული დახმარება სჭირდება. დასავლეთის ბევრი ლიდერი, რომელიც თავს საქართველოს მეგობარს უწოდებდა, მას უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მაინცდამაინც კარგად ვერ ემსახურა. თუ მომდევნო შტორმის დროს გემის გადარჩენის საჭიროება კვლავ დადგება, იმდე ვიქონიოთ, რომ ისინი სხვა მხარეს არ გაიხედავენ. **█**

თომას დე ვაალი - საერთაშორისო მშვიდობისათვის კარნეგის ფონდის კავკასიის პროგრამის უფროსი სპეციალისტი. მისი წიგნი, „კავკასია: შესავალი“ იქსფორდის უნივერსიტეტის მიერ ამ ზაფხულს გამოიცემა.

სიღაჩიბის შეფასება საქართველოში

ტრადიციულად, ის ეკონომიკები, რომლებიც ზრდის პროცესში ეფექტურად არ გადაანაწილებენ შემოსავლებს მოსახლეობის ფართო ფენებს შორის, დაუცველ ეკონომიკებად ითვლებიან.

გიორგი ცხადაია



მსოფლიო ბანკის 2009 წლის აპრილის „სიღარიბის შეფასების რეპორტის“ მიხედვით, საქართველოში 2003 წლიდან 2007 წლამდე დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი შემცირდა, თუმცა დასაქმებულთა შემოსავლები გაიზარდა. მთავრობამ პენსიებისა და მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების მცველიბით, რომლებიც 2006 წლის მეორე ნახევარში წარადგინა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ხელისუფლება გეგმავს სოციალური დახმარების გაუმჯობესებას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი და უკიდურესად დარიბი მოსახლეობისთვის.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლთა აზრით, ეს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლებს საგრძნობლად შეამცირებს. ამიტომ, ხელისუფლებამ სწორედ მსგავსი დრამატული ცვლილებები უნდა განახორციელოს. რეპორტში ასევე საინ-

ტერესო მონაცემებია საქართველოს სოციალური სურათის შესახებ.

2003-2007 წლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების წლიური შემოსავალი გაიზარდა, თუმცა ამ ზრდაში მნიშვნელოვანი კომპონენტი სოციალური დახმარება გახდა.

ლარიბი მოქალაქეების უმეტესი ნაწილი – 60% სოფლად ცხოვრის. იმის მიზეზი, რომ ღარიბი მოსახლეობის უმეტესობა რეგიონში ცხოვრის, რამდენიმეა: ა) სოფლის მეურნეობის და სხვა სექტორებში მცირდი ეკონომიკური ზრდა; ბ) სოფლის მეურნეობაში დასაქმება, (რომელიც საერთო დასაქმების 50%-ია) ძირითადად გულისხმობის მხოლოდ საკუთარი თავის და ოჯახის რჩენისთვის საქარისი პროდუქციის წარმოებას; გ) შემოსავლები სოფლის მეურნეობის სექტორში თითქმის არ გაზრდილა და ის გაცილებით

■ საქართველოს

ხელისუფლებაში

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ და ზოგადად, რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

უფრო დაბალია ეკონომიკის სხვა სექტორებში.

მიუხედავად იმისა, რომ 2003-2007 წლის პერიოდში საშუალო შემოსავლები გაიზარდა, ამან სიღარიბე ვერ შეამცირა. აღნიშვნულის ასახსნელად შემდეგი მიზეზების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი:

ა) ეკონომიკური და საჯარო სექტორის ყოვლისმომცველმა რეფორმებმა ამ პერიოდში უფრო მეტი ადამიანი დატოვა სამსახურის გარეშე, ვიდრე დაასაქმა; ბ) ის სექტორები, სადაც შემოსავლების ზრდა დაფიქსირდა, მთლიანი დასაქმების ძალიან მცირე ნანილს წარმოადგენ. ასეთი სექტორებია, მაგალითად: მშენებლობა, ფინანსური მომსახურება, სამთო მრეწველობა, საჯარო სამსახური.

ამ პერიოდში, მოუხდავად უმუშევრობის რიცხვის გაზრდისა, ეკონომიკა იზრდებოდა ნელინაში 8%-ზე უფრო მეტად. დასაქმებულების რიცხვი კი შემცირდა 178,000-ით. ეს ძირითადად განპირდებული იყო საჯარო სექტორის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვის შემცირებით, თუმცა ყველაზე დიდი წილი მაინც სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა. სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა რიცხვი 95,230 ადამიანით შემცირდა, ხოლო სავაჭრო საქმიანობით დაკავებული ადამიანების რიცხვი – 44,170-ით, საჯარო სექტორი კი – 23 150-ით.

დასაქმებულთა რიცხვის შემცირების მოუხდავად, გაიზარდა საშუალო შემოსავლები, რაც განპირდებული იყო შემდეგ სექტორში დასაქმებულ ადამიანთა შემოსავლების გაზრდით: ჯანდაცვა და განათლება (მთლიანი დასაქმებულების 1.1%), საჯარო სექტორი (5%), საინფორმაციო ტექნოლოგიები (1.5%) და ფინანსური სერვისები (0.8%). ეს ციფრები მონმობს, რომ სექტორებში, სადაც შემოსავლები გაიზარდა, დასაქმებულთა მხოლოდ მცირედ ნანილია ჩაბმული.

მათი ყოველთვიური ხელფასები, ვინც რეფორმების შემდეგ საჯარო სამსახურში ადგილი შეინარჩუნა, თითქმის გაორმაგდა, თუმცა ამავე დროს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლები მხოლოდ 4%-ით გაიზარდა, რაც, ამ სექტორში დასაქმებულთა ისე-დაც დაბალ შემოსავლებს თუ გავითვალისწინებთ, ძალზე უმნიშვნელო ცვლილებაა.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად საკუთარი მეურნეობიდან წარმოქმული პროდუქტების მოხმარებით იჩინებს თავს. ასეთი ადამიანების რიცხვი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 81.6%-ს შეადგენს.

მსოფლიო ბანკი, აქტერ გამომდინარე, საქართველოს მთავრობას სოციალური

დახმარებების გაზრდისკენ მოუწოდებს. სოციალური დახმარებები მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 4.4%-ს შეადგენს და შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ა) პენსიები (მშპ-ს 3.5% და მთლიანი სოციალური დახმარებების 80%); ბ) მიზნობრივი სოციალური დახმარებების პროგრამა (მშპ-ს 0.4% და სოციალური დახმარებების 9.4%); გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარებები (მშპ-ს 0.2%); დ) სსვადასსვა სოციალური დახმარებები (მშპ-ს 0.1%).

სიღარიბის შემცირებაზე ყველაზე უკეთ მოქმედებს პენსიები და მიზნობრივი სოციალური დახმარებები. პენსიების გარეშე, სიღარიბის მაჩვნებელი გაიზრდებოდა 23.6%-დან 32.9%-მდე, ხოლო მიზნობრივი სოციალური დახმარებები და სხვა სოციალური სერვისები სიღარიბეს 2%-ით ამცირებს.

მიზნობრივი სოციალური დახმარება კარგად აღწევს დარიბ მოქალაქეებამდე. ეს პროგრამა დარიბი ოჯახების შემოსავლებს 72%-ით ზრდის, ხოლო უკიდურესად დარიბი მოსახლეობის შემოსავლებს – 105%-ით. ამის მოუხდავად, მისი დაფარვის არეალი მცირეა. 2007 წლის მონაცემებით, ეს პროგრამა დარიბი მოსახლეობის მხოლოდ 19%-ს და უკიდურესად დარიბი მოსახლეობის 30%-ს ფარავდა. ამავე მონაცემებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარების მეშვეობით 54 000 ადამიანი თავს აღწევს სიღარიბეს. ამ პროგრამის მიზნობრივი ჯგუფის 66% კი სწორედ სოფლის დარიბი მოსახლეობაა.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მსოფლიო ბანკი თვლის, რომ თუ მიზნობრივი სოციალური დახმარება გასწვდება მთელს დარიბ და უკიდურესად დარიბი მოსახლეობას, სიღარიბე თთქმის ორჯერ – 23.6%-დან 12%-მდე შემცირდება, ხოლო უკიდურესი სიღარიბე თთქმის სამჯერ – 9.3%-დან 2.9%-მდე.

ბიუჯეტისთვის ეს ნიშნავს, ყველა უკიდურესად დარიბი მოქალაქეების დაფარვის შემთხვევაში, ხარჯების გაზრდას მშპ-ს 0.4%-ით, ხოლო დარიბი მოქალაქეების შემთხვევაში – მშპ-ს 1.1%-ით.

სოციალური დახმარების გაზრდის გარდა, მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობას შემდეგ რეკომენდაციებსაც აძლევს: ა) ინვესტიციების წახალისებას ინფრასტრუქტურაში და ფერმის გარეთ საქმიანობების წახალისება რეგიონებში;

ბ) ჯანდაცვისა და განათლების სექტორებში რეფორმების გაგრძელება.

ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ და ზოგადად, რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებზე. ამ სექტორში, რასაცირველია, არსებობს ობიექტური პრობლემები, რომლებიც ხელის ერთი მოსმით ვერ გადაწყდება, თუმცა სოციალური დახმარებების გაგრძელება და გაზრდა აუცილებელია იმისთვის, რომ შემდგომი განვითარება არ შეფერხდეს.

ტრადიციულად, ის ეკონომიკები, რომლებიც ზრდის პროცესში ეფუძნული არ გადაანაწილებენ შემოსავლებს მოსახლეობის ფართი ფენებს შორის, დაუცველ ეკონომიკებად ითვლებიან. მაგალითად, ცნობილი ინდოეთის შემთხვევა, სადაც სოფლად ათობით მილიონი ლარიბი ცხოვრობს. ინდოეთის მსგავსი ქვეყნების პრობლემა ის არის, რომ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს სტაბილურ ქვეყნებად, რადგან მოსახლეობის არცოთ ისე მცირე ნანილი სიღარიბესა და გასაჭროში იმყოფება. მსგავსი სიტუაცია მოქმედებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. საქართველოს შემთხვევაშიც, 2003 წლის ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი სულის ჩამდგმელი სწორედ რეგიონების უკავყოფილ მოსახლეობა იყო. ამ ხნის განმავლობაში სიღარიბის მაჩვნებელი არანაირ განსაკუთრებულ ცვლილებას, სამწუხაროდ, არ განიცდის. ამიტომ, დესტაბილიზაციის საფრთხე ყოველთვის არსებობს.

საქართველოს მთავრობის ლიბერტარიანული ფრთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბიზნესისთვის სახარიბილო გარემოს შექმნას და ამის მთავარ გარანტიად დაბალ გადასახადებს მიიჩნევს. სინამდვილეში, როგორც ადგილორივ, ასევე უცხოურ ბიზნესებს ინტერესებთ ქვეყნის გრძელვადიანი პერსპექტივა და სტაბილურობა. მათ შედარებით მაღალი გადასახადების პირობებიც არ გაუჭირდებათ მოგების მიღება, თუ დარწმუნებული იქნებიან, რომ მათ ბიზნესების არაფერი დაემუქრება. ლარიბი მოსახლეობის დიდი რიცხვი, იმის გარდა, რომ თავისთვის წახალისება არასაჭრო და საშიშ გარემოს ბიზნესებისთვის. ■

ზებედეში პოლიციის მოაცა

ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში პოლიციელის ტაბელური იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ 60 წლის ნუგზარ მანია იმსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვერსია მომხდარის შესახებ რადიკალურად განსხვავდება თვითმხილველთა მონათხოვისგან.

პატა ლაგვილავა, სოფო ხუბულავა, გაზეთი „თავისუფალი სიტყვა“



შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც „რუსთავი 2“-მა გაავრცელა, ნათევამია, რომ 2010 წლის 17 აპრილს თამაზ თოლორაიას შვილთან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც, მამა-შვილის გასაშველებლად პოლიცია გამოიძახეს. „პოლიციის თანამშრომლები სიტუაციის განმუხტვას ცდილობდნენ, მაგრამ გიორგი და თამაზ თოლორაიებმა მეზობლებთან ერთად პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, შეხელა-შემოხლის დროს პოლიციის უმცროსმა ინსპექტორმა იროდიონ (ირაკლი) შელიამ ტაბელური იარაღიდან გაისროლა, რის შედეგად გიორგი თოლორაის ერთ-ერთი მეზობელი ნუგზარ მანია გადაიცვალა“.

თუმცა, მკვლელობის თვითმხილველები რადიკალურად განსხვავებულ ვერსიას ჰყებიან.

მათი მტეიცებით, მამა-შვილ თოლორაიებს არათუ არ უჩეშებიათ, მეტიც, შვილი ამ პერიოდში სახლშიც არ იმყო-

ფებოდა, ხოლო ნუგზარ მანიას მკვლელობის შესახებ თოლორაიამ მეზობლებისგან შეიტყო.

მკვლელობა კომბინატის დასახლებაში, სპეციალისტების ქუჩაზე, თამარ ქირიას სახლის წინ მოხდა. თვითმხილველი თამარ ქირია ამბობს: „ხმაური შემომესმა, ვიღაც იძახდა, – გოგა, რას მიშვები, რატომ მირტყამო, – ეზოდან გამოვედი და ვნახე 2 პოლიციელი ბიჭს სცემდა, ის კიდევ ეხვევებოდა, – თავი დამანებეთ, ისედაც „პირობითი სასჯელი“ მაქს და ზედმეტი პრობლემები არ მინდაო; ითხოვდა, – მამაჩემს დაურეკეთ ან ჩემს ადვოკატსა“. მოგვიანებით გავარკვე, რომ პოლიციელებიდან ერთი გოგა ფარცვანია ყოფილა, მეორე კიდევ იროდიონ შელია.

ამ დროს სახლისკენ ჩემი მეზობელი ნუგზარ მანია მოდიოდა. ამ ამბავს ისიც შეესწრო და ბიჭს გამოიქომავა, – რას უშერებით, მხეცები ხომ არ ხართ, რატომ ურტყამოთ“.

გმარჯვებული კომპანიების გამოსავლენად, დადგენილების მხედვით, 6 აპრილს დანიშნულ კონკურსში უპირატესობა მიენიჭებოდა იმ კომპანიებს, ვინც უფრო ნაკლებ პრემიუმს მოითხოვდა სახელმწიფოსან – ანუ ფულს, რომელსაც სახელმწიფო თითოეულ დაზღვეულში უხდის სადაზღვევო კომპანიას.

აქამდე, თითო დაზღვევის პაკეტის საფასურად, ბიუჯეტიდან 15 ლარი იყო განსაზღვრული. სწორედ ეს თანხა დაასახელეს კონკურსში მონანილე კომპანიებმა საწყის ფასად. 7-საათიანი ვაჭრობის შემდეგ კომპანიების ნანილმა 1-1,5 ლარით გააიფა მომსახურება, მხარეები შეთანხმდნენ და კომისია დაიშალა.

საზოგადოება

ახრავის ბაზარი

სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას სამი წლის

განმავლობაში სადაზღვევო კომპანიის არჩევის უფლება აღარ ექნება.

ნინო გოგუა



სოფელ ნორიოს მაცხოვრებელი ნაზი კანდელაკი, აპრილი 2010

ფოტო: ლარს ბარანიაშვილი

მეორე დღეს მოულოდნელად გაიგეს, რომ ჩატარებული კონკურსის შედეგები გაუქმდა: „იყო საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზეპირი ვაჭრობის მონაწილე პრეტენდენტებს შორის არსებობდა ნინასნარი შეთანხმება ფასთან დაკავშირებით“, – აცხადებს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ეკა ალავიძე, თუმცა რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარებოდა ეს ეჭვი, არ აკონკრეტებს.

„ფასზე არანაირი გარიგება არ ყოფილ!“ – ამბობს სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტი დევი ხეჩინაშვილი, – უბრალოდ, არ აწყობდათ ის ფასი, რომელიც სადაზღვევო კომპანიებმა წარუდგინს“.

ამიტომ 20 აპრილს, მეორედ გამართულ ტენცერზე სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურსის გან დამოუკიდებლად, თავად განსაზღვრა ვაუჩერის ლირებულების მაქსიმალური ფასი – 12 ლარი. ამით 808,874 მოქალაქის ჯანმრთელობის დაზღვევისთვის

ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხა და, შესაბამისად, კერძო სექტორის შემოსავალი 12 მილიონიდან 9 მილიონამდე შეამცირა. ამ დასკვნის საფუძველს სუბსიდიების სააგენტოს ვაბეგერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები იძლევა.

თუ პირველი კონკურსის ჩაშლის შემდეგ სადაზღვევობი ფასის 14 ლარზე ქვემოთ დაწევას წარმოუდგენლად მიიჩნევდნენ, 20 აპრილს მეორედ გამართულ კონკურსზე კომპანიები 10, 11, 12 ლარზეც დათანხმდნენ. ამასთან, აიღეს ვალდებულება, რომ 2 წლის ვადაში დამოუკიდებლად დაასრულებენ სააგადმიყოფებს.

„თუ უარს ვიტყოდით ტენცერში მონაწილეობაზე, გამოდის, რომ სამი წლით საერთოდ თამაშებრე მდგომარეობაში დავრჩებოდით. ეს სოციალური პროექტია და დიდ ფინანსურ მოგებას არც ველით. მხოლოდ გრძელვადიან პერსაცეტივაში შეიძლება ჰქონდეს სადაზღვევებისთვის ეფექტი. ამ ფასზე დათანხმება მთლიანად რეგიონების დაკარგვას ჯობდა“, – აცხა-

დღეს სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ“ ის წარმომადგენელი ნიკა ჩიხლაძე.

ჯანდაცვის ექსპერტ ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადებით, სადაზღვევოები 10-12 ლარზე ნაკლებ ფასზეც დათანხმდებოდნენ, რადგან, რეალურად, კერძო კომპანიები სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით არსებობს და „იოლი ფულის“ წყაროს არ მოსცილდებიან. „ფაქტობრივად, სახელმწიფო სუბსიდირებით კომპანიები „შესვეს ნებსზე“ და „შემჯდარ ხალხს“ რა პირობასაც წაუყენებენ, ყველაფერზე თანახმა იქნებიან. კერძო კომპანიებისთვის სახელმწიფო პროგრამები უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ინდივიდუალურ დაზღვევაზე მუშაობა, რასაც მეტი შრომა სჭირდება. ამიტომ დაემორჩილებიან სახელმწიფოს მხრიდან ყველა მანაპულაციას. ეს სადაზღვევო კომპანიები ისევე ცხვრებივით არიან მიბმულები მთავრობას, როგორც რეგიონების მიხედვით მათ მიაბარეს მოქალაქეები“, – აცხადებს მეგრელიშვილი.

■ „მთავრობისთვის პრიორიტეტული მხოლოდ ახალი, მპზინავი საავადმყოფოების აშენებაა. ამისთვის იყენებს კერძო სექტორს, რომელიც ფინანსურად მხოლოდ მასზეა დამოკიდებული“, – ამბობს ვახტანგ მეგრელიშვილი.

როცა 2010 წლის თებერვალში მთავრობამ სადაზღვევო კომპანიებს „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი მონაცილეობისკენ მოუწოდა, ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, ეს ნებაყოფლობითა უნდა ყოფილიყო. კომპანიებს კონკრეტული პროექტების მოსამადებლად 3-თვიანი ვადა მისცეს, მაგრამ ამ პრიორიტეტის გასვლის შემდეგ სადაზღვევოებისთვის არჩევანის შესაძლებლობა მხოლოდ სიმბოლური აღმოჩნდა – მთავრობამ დაზღვევისა და საავადმყოფოების კომპანიებითი კონკურსზე ერთ ლოტში გააერთიანა. თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია საავადმყოფოს აშენებას არ მოინდომებდა, მაშინ საქართველოს რეგიონებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაზღვევაზე მთლიანად უნდა ეთქვა უარი.

სადაზღვევო ასოციაციის მონაცემებით, ფინანსური რესურსი, რასაც სახელმწიფო პროგრამებით კომპანიები იღებენ, მათი წლიური შემოსავლის – 40-60, ზოგან 80%-ს შეადგენს. შედეგად, ბოლო ერთი წლის

განმავლობაში სადაზღვევო კომპანიებს 50-40%-იანი მოგება ჰქონდათ.

ამ მაჩვენებელმა შემცირება მას შემდეგ დაიწყო, რაც 2009 წლის იანვარში სადაზღვევო პაკეტში წამლების კომპონენტი გაჩნდა. მოგვიანებით, სადაზღვევოებს საავადმყოფოების აშენების ვალდებულება დაევისრათ, რაც მათ ხარჯებს ზრდის. 20 პარილს ჩატარებული კონკურსის შემდეგ ვაუჩერის ღირებულებამაც მნიშვნელოვნად დაიკლო. „15 ლარი, რაც აქამდე ღირდა ვაუჩერი, ბევრია. ამ კვლევაზე სამინისტროს აქტუართა ჯაფული მუშაობდა. დღევანდელი 11-12 ლარიც, არა მგონია, საკამარისი აღმოჩნდეს. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ეს მაჩვენებელი გადაიხედება და გაიზრდება“.

ვახტანგ მეგრელიშვილის აზრით, რაც უფრო შემცირდება კომპანიების მოგება, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ სადაზღვევოები მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისის შეთავაზებას ვერ

ბენეფიციარის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვას უარყოფითად აფასებს: „კონკურსუნციის პირობებში სადაზღვევოების მეტი სტიმული ჰქონდათ ეწარმოებინათ აქტური კომპანიები და კლიენტებისთვის დამატებით შეეთავიზებინათ სამედიცინო სერვისები. თუმცა, ჩვენი მოსახლეობა ვერ ერკვევა დაზღვევის საკითხებში“, – აცხადებს თინა სტამბოლიშვილი.

„მთავრობისთვის პრიორიტეტული მხოლოდ ახალი, მპზინავი საავადმყოფოების აშენებაა, იმიტომ, რომ „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი პოლიტიზირებულია და უნდა დასრულდეს. ამისთვის იყენებს კერძო სექტორს, რომელიც ფინანსურად მხოლოდ მასზეა დამოკიდებული“, – ამბობს ვახტანგ მეგრელიშვილი.

ჯანდაცვის ექსპერტის გიორგი ხეჩინაშვილის განცხადებით, ბენეფიციარების პასუურობა გარემო ფაქტორებთანაც იყო დაკავშირებული: „სადაზღვევოები რეგიონებში პოლიკლინიკების ექმებს, ფოსტალიონებს, სკოლის დირექტორებს ურიგდებოდნენ. ასეთი ადამიანები ბენეფიციარს დაუკითხავად არეგისტრირდნენ რომელიმე სადაზღვევო კომპანიაში, ან სარეკლამო აგრძელებივით გადაბირებაზე მუშაობდნენ“.

რამდენიმე თვის წინ გარდაპნის რაიონის მუნიციპალიტეტის წევრი შორენა განვიაშვილი სწორედ სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობის საბაზით გაათვისებულებს. როგორც „ლიბერალს“ განუმარტებს: „შორენა სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის ვაუჩერების დარიგების პროცესში უცნობ პირებთან ერთად იყო ჩაბმული“, – აცხადებენ გარდაპნის მუნიციპალიტეტში.

2010 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით, სადაზღვევო კომპანიების მონაცილეობით, საქართველოს 46 რეგიონში ახალი, მაღალკულიფიციური და ხელმისაწვდომი საავადმყოფოები უნდა შეიქმნას. ამისთვის სადაზღვევო კომპანიებს 2 წლის ვადა აქვთ მიცემული. რამდენად შეძლებენ ფინანსური და საკადრო რესურსის მოზიდვას, მნიშვნელოვანია არა მარტო კომპანიებისთვის საზოგადოებას, არამედ – სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მილიონამდე მოქალაქეებისთვის. არჩევანის გარეშე, ისინი იღებების იმედად რჩებიან. თუ არ გაუმარტებთ და რეგიონში გამარჯვებული კომპანია მათთვის მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფს, სამი წლის განმავლობაში ვეღარაფერს შეცვლიან. ■

ბიოგენერიკული პოლიტიკის განვითარების სამსახური

ინტერნეტი ქართველ პოლიტიკოსებს უფრო მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ.

ანიტა თვალიძე

„ჩვენ უფრო მეტნი ვართ, ვიდრე დუმაში დეპუტატებით, – მომწერა ერთ-ერთმა მომხმარებელმა ჩემის ბლოგზე და ვერც შევედავები. დუმაში 450 დეპუტატია, ჩემი ბლოგის მომხმარებელთა რიცხვმა კი ოცი ათასს გადააჭარბა“, – ამ სიტყვებს რუსეთის პრეზიდენტი, დიმიტრი მედვედევი თავის ვიდეობლოგის გახსნიდან ერთი წლის თავზე ამბობს და რეგულარულად ეცნობა ინტერნეტ-მომხმარებელების კომენტარებს, რომელთა რიცხვიც თითო გამოქვეყნებულ ვიდეოზე ზოგჯერ ხუთასაც კი აღნენს.

რუსეთის პრეზიდენტი ვირტუალურ სივრცეში პირველად 2008 წლის 7 ოქტომბერს გამოჩნდა და კრემლის ოფიციალურ ვებგვერდს პირადი ვიდეობლოგი დაუმატა. უკვე ერთი წლის თავზე თავის ერთ-ერთ ვიდეოში მან ბლოგინგის საჭიროება ასე ახსნა: „ვილვებმა აჩვენეს, რომ, გასულ წელთან შედარებით, ბლოგერთა რაოდენობა რუსეთში გაორმაგდა და 7,4 მილიონს მიაღწია“. საკუთარი ვიდეობლოგის დარეგისტრირების შედეგად კი რუსეთის პრეზიდენტი თავისი ქვეყნის სწორედ 7,4 მილიონი მოქალაქის „ენაზე ალაპარაკდა“.

ბლოგინგი, ვებგვერდზე კომენტარების განყოფილება და ფორუმი – ეს ის ვებკომუნიკებია, რაც დღეს ნებისმიერ მთავრობას ამორჩიველთან უშეალო ურთიერთობის საშუალებას აძლევს. მედვედევი ახალ მედიას უშეალო და ახალგაზრდა პრეზიდენტის იმიჯის შესაქმნელად იყენებს. 2010 წლის 2 თებერვალს დადებულ ვიდეობლოგი ის ჰელვება, თუ როგორ იყო გატაცებული ფოტოგრაფით ჯერ კიდევ პიონერობისას. „ფოტოგრაფიის მთავარ არსა მე ვხედავ იმაში, რომ მას შეუძლია, დაიჭიროს წამი და მისი განუმეორებლობის სევდისანი განცდა მოგვაროს“, – მაღალფარდოვნად წერს ბლოგერი პრეზიდენტი.

„რადგან წინასარჩევნო კამპანია დაიწყო, ბლოგებს დროებით ვერ დაწერ. დიდი მადლობა თქვენი კომენტარებისთვის

და ვიმედოვნებ, რომ მალე კვლავ განვაგრძობთ საუბარს“, – წერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, დევიდ მილიბენდი 6 აპრილს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბლოგის განყოფილებაში, რომელსაც 37 ბლოგერი ჰყავს, მათ შორის – ელჩები, საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები და სხვა უწყებების მინისტრებიც კი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დარეგისტრირებულია სოციალურ ქსელ Twitter-ზე, youtube-სა და Flickr-ზე და გამოხმაურებებს მოქალაქეებისგან ამ ქსელების საშუალებითაც იღებს. მათ ოფიციალურ ვებგვერდზე კი წერია: „გვინდა, რომ ჩვენი ბლოგები იყოს პირადული, აწმეყი დროში, გვსურს, ვწეროთ ისე, რომ გავითვალისწინოთ ბლოგის გამოხმაურებები, შენაარსი კი მივაპათ ჩვენს საქმიანობას“.

სოციალური მედიის ბლოგის socialnomics-ის 6 თვის წინანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში ორასი მილიონი ბლოგერია. ქართველი პოლიტიკოსი კი ამ ბლოგერებში – არც ერთი.

საქართველოში დარეგისტრირებული 600 ბლოგიდან სახელმწიფო სტრუქტურას ერთადერთი ეკუთვნის. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კაშირგაბმულობისა და სანიტორმაციის ტექნოლოგიების დეპარტამენტმა ვებგვერდს ბლოგი დაახლოებით ერთი თვის წინ დაუზორო. ერთ-ერთი ბოლო „პოსტი“ ეხებოდა 15 აპრილს ეკონომიკური განვითარების მინისტრის შეხვედრას ქართველ ბლოგერებთან. სამინისტრომ იმ დღეს ერთად შეკრიბა ყველა აქტიური ქართველი ბლოგერი, რათა ესისკონა. როგორ შეიძლება განვითარდეს ქართული ბლოგოსურებრივი საიტი, საინფორმაციო გარემონტინირებული საიტი, სამინისტროს შეხვედრების და ახალი მედიის ათვისება გარდაუვალი პროცესია.

თუმცა, „გარდაუვალ პროცესში“ ჩართვას აგვიანებს მმართველი პოლიტიკუ-

რი პარტია. „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური ვებგვერდი, დანარჩენი პარტიების ვებგვერდების მსგავსად, ახალი ამბების მონოტონურ ბიულეტენს უფრო ჰგავს და არა ვირტუალურ ინტერაქციულ პლატფორმას ამომრჩეველთან კაშირის დასამყარებლად. მაგალითად, 6 დღის წინ გამოქვეყნებული ბოლო ახალი ამბავი ვებგვერდზე წარმოადგენს ოფიციალურ სამდიმრის წერილს პოლონელი ხალხის მიმართ. არადა, პარტიის ლიდერს, პრეზიდენტ საკაშვილს შეეძლო თავის ბლოგზე პირადი და უშუალო განცდები გაეზიარებინა მკითხველებისთვის, თავისი მეგობრის ლეგ კაჩინსკის შესახებ.

პრეზიდენტის პრესსიკერის მანანა მანჯგალაძის თქმით, მიხეილ საკაშვილს მოსწონს ახალ მედიაზე საუბარი. ამას პრეზიდენტი საჯარო გამოსვლებშიც ხშირად აღნიშნავს ხოლმე. თუმცა, მისი ვებგვერდი ნოვაციისგან აბსოლუტურად დაცლილია, სტანდარტული რუბრიკები მის ვებგვერდზე: პრეს-რელიზები, ბრიუნიგები, გამოსვლები, ვიზუალური აღნიშნავის და წლიური ანგარშეკებობისთვის შესახებ. არც ერთი მის ვებგვერდზე: პრეს-რელიზები, ბრიუნიგები, გამოსვლები, ვიზუალური აღნიშნავის და წლიური ანგარშეკებობისთვის შესახებ.

„სამწევაროდ, დროის სიმცირის გამო, ნაკლებად მოვახერხებ ბლოგის წერას, თუმცა ვიზუალური მოვახერხებ, რომ სამომავლოდ ეს შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე სანტერესო საშუალება იყოს პოზიციის დაფიქსირებისთვის“, – ამბობს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლი პალე კუბლაშვილი, რომელსაც თავისი გვერდი აქვს სოციალურ ქსელ facebook-ზე.

ინტერნეტზე ხელი საქართველოში დღეს მილიონადგე მოქალაქეს მოუწვდება. პოლიტიკოსებს ურჩევნიათ, ტელევიზორებისთვის „იმპუნინ“, მოსახლეობასთან კი, ვირტუალურის ნაცვლად, პირდაპირი კავშირი დაამყარონ – სადაბაზოებთან, სკვერებსა თუ ჭადრაკისა და სპორტის სასახლეში დაგემილი შეხვედრებით, რომლებიც ტელევიზორშიც აუცილებლად მოხვდება.

„რაც შეიძლება მეტი დრო უნდა დავუთმო ხალხთან შეხვედრას ქუჩაში. იმიტომ, რომ სწორედ ამ კუთხით ვარ მასასთან და იმ ადგინიანებთან შეხებაში, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა ამ მედიის საშუალებით გვეკონტაქტოს“, – ამბობს ირაკლი ალასანია, რომელმაც საკუთარი პროფესიი იუსტიციის ერთობის წინ შექმნა და ამ მცირე

ხნის მანძილზე 34 ვიდეოს ატვირთვა მოახერხა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხუთი წლის წინათ, ინფორმაციას ინტერნეტით თბილისელების მხოლოდ 2-3 პროცენტი იღებდა, გამოდის, ახალი მედიის მომხმარებელთა რიცხვი წლიდან წლიდებით ჩვენთან მაინც იზრდება. ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა ხვდება, რომ ეს ამომრჩეველთან ურთიერთობის მოხერხებული საშუალებაა, თუმცა ჩანს, რომ ბლოგის შექმნა იმაზე უფრო რთული ჰგონიათ, ვიდრე ეს სინამდეილეშია.

„დევიდ მილიბენდი ინგლისში გაიზარდა, ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობა კი – საბჭოთა სკოლებში, ამიტომ ძალით ვერავის დასვამ და ბლოგებს ვერ დააწერინებ.“

როდესაც მოვა ახალი თაობა, ის დაწერს ბლოგებს“, – ამბობს კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა.


385 კომენტარი – ეს ჯერჯერობით ქართული პოლიტიკური ვებსივრცის ერთგვარი რეკორდია. რესპუბლიკური პარტიის ვებგვერდი ყველაზე ინტერაქტიულიც ჩანს. ამომრჩეველს აქ ფორმში მონაცილეობის მიღებაც შეუძლია, კითხვა-პასუხის განყოფილებაში ცალკეული კითხვების დასმა და, რაც მთავარია, პარტიის წევრების ბლოგების წაკითხვაც. ბლოგის განყოფილება და მუშავების პროცესშია და ნაკლიც ბევრი აქვს – ტექსტების უმრავლესობა, ბლოგის ნაცვლად, სამუცნიერო ლიტერატურას უფრო ჰგავს.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი ამბობს, რომ ახალი მედიის ათვისებაში ინვაზორი სახელმწიფო იყო. „არაპირდაპირი გზებით, მაგრამ მაგალითად თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა მეშვეობით ისინი წინ წამოსწევდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სტირდებოდათ“, – ამბობს დავით ზურაბიშვილი.

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ეროვნულმა ფორმმა“ ვებგვერდი, დაახლოებით ორი თვეა, რაც აამუშავა. ამ ხნის მანძილზე ავტორებმა აღმოჩინეს, რომ ვებგვერდის მომხმარებელთა დიდი ნაწილი გვერდზე ფეისბუქიდან გადადოდა. სწორედ ამიტომ პარტიაში გადაწყვეტის, რომ საკუთარი გვერდი ფეისბუქზეც შეექმნათ. ფეისბუქის სიცრცე აითვისა თითქმის ყველა პარტიამ. ქრისტიან-დემოკრატების, აღარანისი საქართველოსთვის, რესპუბლიკულებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ჯგუფები ფეისბუქში აერთიანებენ თავანთ კინდიდატებს ადგილობრივი არჩევნებისთვის.

ლებორისტული პარტიის პრესამსახურის ცნობით, შალვა ნათელაშვილი „არ თვლის ამ საკითხს იმდენად მნიშვნელოვნად, რომ კომენტარი გააკეთოს“. საკუთარი მოსაზრებების გასავრცელებლად ის ვებგვერდისა და ტელევიზიების არსებობას საკმარისად მიიჩნევს. ვებგვერდზე მწირი მასალაა, თუმცა გაცილებით უფრო ინტერაქტიულია, ვიდრე სხვა პოლიტიკური პარტიების ვებგვერდები. ერთ-ერთმა მომხმარებელმა ლებორისტების ვებგვერდზე ასეთ კომენტარიც კი დატოვა: „ეს საიტი მართლა მისახედაა. შთაბეჭდილებას შლის უფრო, ვიდრე ახდენს. ზოგს დაეპადება ლოგიკური აზრი: თავისი თავისთვის ვერ მოუვლიათ და ჩვენ როგორ მოგხედავთ? ძალან გთხოვთ, დაგვანახეთ „გული“, უგულოდ გაკეთებული ამ სამყაროში არაფერი ვარგა“.

ვებგვერდი „ობამა ამერიკისთვის“ – ამერიკის ბოლო პრეზიდენტის ისტორიული საარჩევნო კამპანიის შეუცვლელი ნაწილი გახდა. ამ საიტს მეშვეობით ობამა ყველაზე იყო. Facebook, myspace, youtube, twitter, Flickr და სხვა ქსელებში მიღიონადებ მოხალისე დღე და ღამე პასუხობდა მისთვის დასმულ კითხვებს. პოლიტიკოსებს შორის ბარაკ ობამამ ყველაზე მოხერხებულად გამოიყენა ახალი მედია თავისი მიზნების მისაღწევად. ■



SOCIALNOMICS-ის 6 თვის ნინანელი მონაცემები:

- | | | |
|--|---|--|
| ► სოციალურმა მედიაშ პოპულარიზაცია პორნო გვერდებს გადაუსწრო. | დროში ფეისბუქზე დარეგისტრირდა 100 მილიონი მომხმარებელი. | ლია 100,000,000 ვიდეო. |
| ► ამერიკის შეკრებულ შტატებში გასულ წელს ყოველი 8 წევილიდან ერთმა სოციალურ ქსელში გაიცნო ერთმანეთი. | ფიცისტები რომ სახელმწიფო ყოველი ყოველ წელში მიღიონ მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იქნებოდა, ჩინეთის, ინდოეთისა და აშშ-ს შემდეგ. | ► ვიკიპედიაზე 13 მილიონზე მეტი სტატია დგენ. |
| ► 50 მილიონი მომხმარებლის შესაკრება ბად რაღობის 38 წელი დასჭირდა ტელევიზიას – 13, ინტერნეტს – 4, აპონდს – 3 წელი. 9 თვეზე ნაკლებ | ► ფეისბუქზე ყველაზე 55-65 წლის ქალებია. 55-65 წლის ქალებია. | ► 200, 000, 000 ბლოგი არსებობს და მათი 54 % „პოსტაცა“ ან „თვითაცა“ ყოველდღიურად. |
| | ► ფეისბუქზე ყველაზე 55-65 წლის ქალებია. 55-65 წლის ქალებია. | ► მსოფლიოს 20 უდიდესი პრენდის საძირებო სისტემიდან 25 % მომხმარებელთა „პოსტებს“ შეადგენს. |
| | ► ფეისბუქზე ყველაზე 55-65 წლის ქალებია. 55-65 წლის ქალებია. | ► მომხმარებელთა 78 %-ს მეორების სახელში მასში ატვირთუ- რეკლამის. |

ლელაშვილის მოს მ-40 ნისტავის ბამო



დღეს ჩვენს პლანეტას საერთაშორისო პასუხისმგებლობა და თავდადებული სამსახური სჭირდება.

ჯონ ბასი, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

დედამიწის დღე პირველად 1970 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნეს. მაშინ, გარემოს დაბინძურებისა და განადგურების გამო პროტესტი დაახლოებით 20-მა მილიონშა ამერიკელმა გამოხატა. იმ ღონისძიებამ საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას გარემოს დასაცავად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 1970-იანი წლების მინურულს გარემოს დაცვის სააგენტო ჩამოაყალიბა და ახალი კანონმდებლობა მიიღო: 1970 წელს – კანონი სუფთა ჰაერის შესახებ, ხოლო 1972 წელს – კანონი სუფთა წყლის შესახებ.

პრეზიდენტი ობამას ხელმძღვანელობით, აშშ-მ მომწამვლელი გამონაბოლქვის შესამცირებლად ბევრად მეტი რამ გააკეთა, ვიდრე ოდესმე. პრეზიდენტი ობამას ადმინისტრაციამ შეიმუშავა ახალი საშინაო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სუფთა ენერგიის განვითარებას და ხელს უწყობს უსაფრთხო კლიმატს. პრეზიდენტი ობამა აქტიურად ჩაერთო მოლაპარაკებებში კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებით. გასული წლის დეკემბერში, კოპენჰაენის სამიტზე მსოფლიოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს ე.წ. „კოპენჰაენის შეთანხმებას“, რომელიც უმსხვილესი ეკონომიკის ქვეყნებისაგან ითხოვს ზომების მიღებას, რათა შემცირდეს კლიმატური ცვლილებები. „კოპენჰაენის შეთანხმება“ გულისხმობს გლობალურ ძალისხმევას სახსრების მობილიზებისთვის, რათა ღარიბ ქვეყნებს კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციაში დაეხმაროს.

აშშ ისწრაფვის, გააუმჯობესოს სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა.



2005 წელს ამერიკის კონგრესმა გამოსცა „პოლ საიმონის აქტი – წყალი დარიბებისათვის“, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისთვის უსაფრთხო წყლისა და უკეთესი სანიტარული პირობების ხელშეწყობას ითვალისწინებს. ამ ამოცანის გადაჭრა ამერიკის საგარეო დახმარების პროგრამების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. მსოფლიო წყლის დღეს, ზუსტად ერთი თვის წინ სახელმწიფო მდივანმა, კლიონტონმა განაცხადა: „არც ისე ბევრია საკითხი, როდესაც ეფექტური დიპლომატიის დახმარებით შესაძლებელია, გადავარჩინოთ მილიონობით სიცოცხლე, დავაპუროთ მშივრები, გავზიარდოთ ქალთა უფლებები, წინ წამოვწიოთ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები, დავიცვათ გარემო და ვაჩვენოთ მილიარდობით ადამიანს, რომ ამერიკის შეერთებუ-

ლი შტატები ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე. წყალი სწორედ ასეთი საკითხია“. მიზნის მისაღწევად აშშ-ს განზრახული აქვს, აამაღლოს განვითარებადი ქვეყნების ქმედითუნარიანობა, მოახდინოს ინვესტიციება ინფრასტრუქტურის გასავითარებლად, აგრეთვე – გააძლიეროს მეცნიერებისა და ტექნიკის როლი.

წელს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო წელიწადს აღნიშნავს. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უცხო არ არის ბიომრავალფეროვნების დეგრადაციით გამოწვეული საფრთხეები. 1960-იან წლებში ჩვენი ეროვნული სიმბოლო, ამერიკული თეთრთავა არნივი, გადაშენების პირას აღმოჩნდა. 2007 წელს კი ეს ფრინველი წითელ წიგნში შეტანილი სახეობების სიიდან ამოიღეს. მიზეზი გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ 1973 წელს მიღებული კანონი გახლდათ, რომლითაც კონსერვაციის ღონისძიებები განისაზღვრა და აიკრძალა მავნე შხამქიმიკატები. აშშ-ს მიწის ფართობის 27%-ზე მეტი, ამა თუ იმ ფორმით, სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება.

აშშ-ს მთავრობა დიდი ხანია, ზრუნავს საქართველოს გარემოს დაცვაზე, მისი სისუფთავისა და სამწვანის შენარჩუნებაზე. 2009 წელს, დედამიწის დღის აღნიშვნის შემდეგ USAID-ის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის ოფისმა გამოჯევეყნა ანგარიში საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ; ვაშლოვნის ნაკრძალში ჩამოიყვანა შავყელიანი ქურციკები; ორ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას გადასცა 750,000 აშშ დოლარი ყველაზე დაუცველ რეგიონებში სამუშაოდ; გაიხსნა შვიდი მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც სუფთა და განახლებად ენერგიას აწვდის საქართველოს. აშშ-ს გარემოს დაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავდა საქართველოს ეროვნული პარკების მართვისა და დაცვის სისტემა.

დღეს ჩვენს პლანეტას სჭირდება საერთაშორისო პასუხისმგებლობა და თავდადებული სამსახური დედამიწის რესურსების – პაერის, წყლის, მცენარეებისა თუ ცხოველების დასაცავად. როდესაც მიღწევებს ვაფასებთ, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევები და უნდა გავაგრძელოთ წინსვლა ორმოცი წლის წინ დაწყებული გარემოს დაცვის მოძრაობის სულისკვეთებით. ■



კულტურა

სიავისის ჩოხა

როგორ შევქმნათ რიტუალის თეატრი ისე, რომ არ დავასახიჩროთ ვაჟას პოეზია.

დავით ბუხრიკიძე

კლასიკოსი მწერლებისა და პოეტების საიუბილეო თარიღები ხშირად მათთან „სცენური გაბასების“ კარგი მიზეზია. გამონაცლისი არც ვაჟა-ფშაველას პოეზია აღმოჩნდა, რომლის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე „სტუმარ-მასპინძელი“ დაიდგა. რეჟისორმა ვალერიან გორგოშიძე ამავე თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე უკვე მოახერხა მრავალტანჯულ და ცოტათი საშიშ პერსონას, ზიგმუნდ ფროიდს თითქმის ირონით ჩაღრმავებოდა (ერიკ-ემანუელ შმიდტის პიესა „სტუმარ“), ამჯერად კი უკრადღება ვაჟას არანაკლებ რთულად მოსათვინიერებელ „სტუმარ-მასპინძელზე“ შეაჩერა. ლამის ეროვნულ არქეტიპად ქცეული ამ პოემის სცენურად „თარგმანას“, გაბედულებისა და თავისუფლების გარდა, ცოტა თავხედობაც სჭირდებოდა.

გზა „სტუმრიდან“ „სტუმარ-მასპინძლამდე“ ახალგაზრდა რეჟისორისათვის ეკლიანი წამდვილად არ ყოფილა. თუ მის წინა სპექტაკლს მაინც დაჰკრავდა ოდნავი ქედმაღლობისა და მსუბუქი ინტელექტუალურობის პრეტენზია, ვაჟას ეპიკურ პოეზიაში ამოკითხულმა ვნებებმა უფრო აბსტრაქტული სცენური

განზოგადებისა და წმინდა რიტუალური თეატრისთვის დამახასიათებელი ფორმა შეიძინა. როგორც თავად რეჟისორი ამბობს, ინსპირაციის წყარო მისთვის პაზოლინის ცანობილი ფილმი „მედეა“ გახდა, რომელმაც სპექტაკლს მსახურალი, მაგრამ სასარგებლო კვალი დამჩნია.

ვისაც „რიტუალს თეატრით“ შთაგონებული, ეს მოკრძალებული გამონათება ქართულ თეატრში კეთილის მაუნყებელ ამბად მიაჩნია, ალბათ ეამება საათნახევრიანი წარმოდგენა. ხოლო ვისაც სტურუას საფირმო „კარნავალის თეატრი“, ან თუმანიშვილის ფსიქოლოგიური წიაღსვლები ისევ ერთადერთ სამუზეუმო თუ საარსებო გარემოდ ესახება, გაღიზიანებული შეხვდება ქვებით, ცეცხლით, რკინის ჯაჭვებითა და რკინის ნაჭერებით გაფორმებულ სანახაობას. ეგვარევი სკეპტიციზმით აღიქმას ოდნავ რეფლექსურ, თუ შენელებული რეაქციების მქონე ჯოყოლასა (ბაჩინ ჩაჩიბაია) და ხალისანი, უდარდელი ზევიადურის (ლევან ხურცია) არასინქრონულ როგვა-პაექრობას. ან ფაქტიზი, ვწებიან და მუდამ აფორიაქებული აღაზას (ია სუხიტაშვილი) ვითომ ფარულ, სინამდვილეში კი გაცხადებულ ლტოლვას უცხო მამაკაცის მიმართ.

„რიტუალის თეატრის“ ასატანი სიმძიმე და პირქუში განცდების არითმია არცთუ ცუდად შეთხულ, თითქოს გაყინულ, შენელებულ და „დაწმენდილ“ მიზანსცენებშიც იგრძნობა. ტესილ, ზოგჯერ შესანიშნავ და ზოგჯერ გაუმართლებლად შენელებულ ტემპში; მუსას მოულოდნელ პლასტიკასა და სახასიათო მოძრაობაში (უცნაური, ტრაგიკომიკული განცდების ნაზავს ქმნის ამ როლში გოგა გველესანი). შავებით შემოსილი, მინავლებული, მაგრამ ფეოქტადი სიკვდილის ნიღბები ისე როგოვენ, თითქოს ანტიკური თეატრის ნაგრევებში მოულოდნელად ფლეგმატურმა სტრინგბერგმა თავისი პიესით („სიკვდილის როგო“) ჩამოიარა.

გოგი ალექსი-მესხიშვილის უდავოდ ხარისხიან მხატვრობას, სცენოგრაფიასა და კოსტიუმებში სტურუას „ლამარა-სეულ“ აჩრდილებს ამოიკითხავთ. კოტეფურცელაძის ქორეოგრაფიულ ნახაზს ეთნოგრაფიულის გარდა, „თანამედროვე ცეკვის“ ძნელად გასარკევი სურნელიც დაპერავს. ხმების, ყვირილისა და აბსტრაქტული მუსიკის შთამბეჭდავ პარტიტურაში (მუსიკალური გაფორმება იასაკანდელიძე) ქისტებისა და ხევსურების ურთიერთობის გარკევესა ამაღდ შეეცდებით, რადგან ეს რეჟისორის მიზანი არც ყოფილა. მოვლენების თანმიმდევრულ თხრობაში, ან პერსონაჟთა ურთიერთობებში ჩვეული ფსიქოლოგიური სვლებისა და ლოგიკის კვალის აღმოჩენა, ასევე, განწირულია მარცხისათვის. და ვფიქრობთ, რადიკალური შეფასებები და მიდგომა – გულწრფელი აღფრთვებიდან სრულ მიუღებლობამდე, სწორედ სპექტაკლის ენისა და სტილისტური გადაწყვეტის ორიგინალობამ და თავისებურებებმა განაპირობება.


ცხადია, ვაუას „სტუმარ-მასპინძელში“ ისეთი სილალე, სიცხადე და ბრწყინვა-ლებაა, ხოლო პერსონაჟთა საქციელი იმდენად ზუსტი და მოტივირებული, რომ გორგოშიძის სპექტაკლის შემდეგ (რომელშიც პიროვნების, სექსის, ოჯახისა თუ თემისადმი გაუცხოება უფრო მეტია) მაყურებელს პოემის „დაცვის“ სურვილი უჩინდება. თუმცა ესეც გასაგები და ლამის მარადიული დრამაა, რომლის მიზეზი თეატრისა და ლიტერატურის ენის მუდმივი დაპირისპირებაა. ანუ, ეს სხეულისა და სულის დაუსრულებელი დუელია. ■

წიგნები

ჩამოხრილი მილიარდი:

ჩახომ ვახ შემძლევან ცლაბიბის სახალიფიზო გრანტი და ჩახომ ერთ მილიარდი მოვალეობის საკითხებს იკვლევს. მისი წიგნი „ჩამოხრილი მილიარდი“ ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციაა.

ირაკლი ვაჭარაძე, ნიუ-ორკის უნივერსიტეტი



პოლ კოლიე „ჩამოხრილი მილიარდი“
Paul Collier "The Bottom Billion"

კოლიე განვითარებადი ქვეყნების-თვის მთავარ საფრთხეს გამოყოფს:

1. კონფლიქტის მახე
2. ბუნებრივი რესურსების მახე
3. ცუდი მეზობლების მახე
4. პატარა ქვეყანაში ცუდი მმართველობის მახე

ავტორი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში, მრავალი ობიექტური ფაქტორისა თუ

უბედობის გამო, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ამ ოთხდან ერთ ან ერთდროულად რამდენიმე მახეში იმყოფება. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეტეთედი, 50-მდე მცირე სახელმწიფოს მოქალაქე ერთი მილიარდი ადამიანი იტანჯება-უკიდურესი სიღარიბით – უმთავრესად, მაგრამ არა ექსკლუზიურად, აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში. კოლიეს გათვლებით, ამ მახებიდან თავის დასაბალევად საშუალოდ 60 მშვიდობიანი წელია საჭირო. თუ სამოქალაქო მიზი, გადატრიალება ან ეკონომიკის რდევევა მოხდა, ათვლა თავიდან დაიწყება.

1. კონფლიქტის მახე

ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა, ხანგრძლივი სამოქალაქო ომები, სახელმწიფო გადატრიალებები, სეპარატიზმი და აჯანყებები ძვირად უჯდება ქვეყნას და მას სილარიბის მსხვერპლად აქცევს. მმართველობის მოშლილი სისტემა, დევნილთა უსასრულო ნაკადები, გაოხრებული ტერიტორიები, დანგრეული საგზაო ინფრასტრუქტურა, ფინანსური და სანვესტიკო კრიზისი, დანგრეული შენობა-ნაგებობები კონფლიქტის თანამდევი შედეგებია.

როგორც წესი, კონფლიქტის მიზეზი ხდება უსამართლობა, ექსპლოატაცია, ჩაგვრა და გარიყულობა. თუმცა ავტორი ეჭვობს, რომ კონფლიქტის მხარეებისთვის ეს ფაქტორები უფრო საკუ-

თარ მიზნებზე მორგებული საბაპია. ობიექტურად კი, სოციალური, პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორებია ყველაზე მნიშვნელოვანი.

2. პუნქტობი რესურსების მახს

დემოკრატიულად და ეკონომიკურად განუვითარებულ ქვეყნებში ბუნებრივი რესურსები არა სიეკთეს, არამედ საფრთხეს წარმოადგენენ. იქ, სადაც ნავთობის, ძვირფასი ქვებისა და სხვა რესურსების საბადოები აღმოაჩინეს, კეთილდღეობის ნაცვლად, სიღარიბემ და ჩამორჩენილობამ დაისადგურა.

ბუნებრივი რესურსების სიჭარებზე დამო კიდებულ სახელმწიფოში გადასახადები მცირდება. მოქალაქებს ხელისუფლების გაკონტროლების სურვილი არ უჩნდებათ. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები კი უზარმაზარი რესურსების ექსპლოატაციიდან მიღებულ შემოსავალს უკანონოდ ითვისებენ. ხელისუფლება ალარ არის მოქალაქეთა გადასახადებით დაფინანსებული საჯარო მოხელეების გუნდი, არამედ კლანური ჯგუფია. მათ ვერავინ გადაირჩევს და გააკონტროლებს იქ, სადაც დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები – არჩენები და საგადასახადო სისტემი მოიშალა ან უზურპირებულია. დემოკრატიული სახელმწიფო გადასახადებზე დაფუძნებული, ავტოკრატიული – რესურსების გაყიდვაზე. ბუნებრივი რესურსებით „დაწყევლილი“ ქვეყანა შედეგად იღებს „გადასახადების გარეშე წარმომადგენლობას“.

3. ცუდი მაზოგლები

„სამწუხაროდ, ქვეყნები მეზობლებს ვერ ირჩევენ. სამწუხაროდ იმიტომ, რომ ხშირად ქვეყნას უბრალოდ არ უმართლებს“, – ამბობს კოლიე. რადგან ის აფრიკულ ქვეყნების მაგალითს ეყრდნობა, მე შევეცდები კავკასიის კონტექსტში წარმოვჩინო ეს მახს.

დღეს სომხეთი მთლიანდ საქართველოზეა დამოკიდებული. იგი არ ანარმობებს ძვირფას საექსპორტო პროდუქციას, რაც საპარაზო გადაზიდვის ხარჯებს გაამართლებდა. ისტორიის გამო, მისი რჩეული სავაჭრო პარტნიორი რუსეთია და არა – ირანი. სომხეთს ზღვიზე გასასვლელი არ აქვს და, თურქეთთან ცუდი პოლიტიკური ურთიერთობის გამო, დამოკიდებულია

საქართველოს საგზაო და საზღვაო ინფრასტრუქტურაზე. საქართველო კი მისთვის ცუდი მეზობელია: ცუდი გზებით, კონფლიქტებით, მაღალი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ხარჯებით, ზოგადად არასტაბილური ეკონომიკითა და პოლიტიკური სისტემით. ეს სომხეთის განვითარებას აფერებს, რადგან მისი იმპორტ-ექსპორტის ხარჯები ასმაგდება. სომხეთის სტრატეგიული ინტერესია საქართველოს განვითარება, რადგან ისიც მოგებული დარჩება. საქართველოს ინტერესებშია, მუდმივად მომზიბელელი დარჩებს სომხეთისთვის, რომ შემოვლითი გზების მოძრვა არ აიძულოს, თუნდაც ისტორიულად მოსისხლე მტრებთან დაახლოების გზით.

კოლიე ამბობს, რომ, მაგალითად შევიცარიამ, რომელსაც ასევე არ აქვს საზღვაო გასასვლელი, მოახერხა მეზობლები, სატრანსპორტო დერეფენციის მაგივრად, ბაზრებად გადაექცია: შევიცარიამ ეკონომიკა ავსტრიას, გერმანიას, საფრანგეთსა და იტალიასთან ვაჭრობაზე დაამყარა. სომხეთს და საქართველოს კი არ გაუმართლათ, რადგან მათი მეზობლები პოლიტიკურად არასტაბილური, სამხედრო აგრძელებაზე ორიენტირებული, ერთმანეთთან ხანგრძლივ კონფლიქტში მყოფი და ეკონომიკურად განუვითარებელი სახელმწიფოებია.

ამ მახისთვის თავის დასაღწევად თითოეულმა მეზობელმა უნდა გაითავისოს, რომ სხვისი გაძლიერება მასაც არ გებს. კოლიეს კვლევებით, ერთი მეზობლის ეკონომიკის 1 პროცენტით გაზრდა მეორე მეზობლის ეკონომიკას 0.7-პროცენტიან სარგებელს აძლევს.

4. ცუდი მგარიველობა პატარა პვეზანაში

„კარგი მმართველობის როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა – აბსოლუტური“, – ამბობს კოლიე. საუკეთესო მმართველობა და სწორი პოლიტიკა ეკონომიკის 10%-იან ზრდაზე მეტს ვერ უზრუნველყოფს. სამაგიეროდ, ცუდი მმართველობა და პოლიტიკა ეკონომიკას სწრაფად ანგრევს. მაგალითად, პრეზიდენტ მუგაბე მოსვლის შემდეგ, 1998 წელს ზიმბაბვეს ეკონომიკა ჩამოიშალა და ინფლაციის ნლიურმა მაჩვენებელმა 1000%-ს მიაღწია. ამ ასიმეტრიულობის გამო, კოლიე ამბობს,

რომ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელება ეფექტური მმართველობის იდეის ადვოკატირებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ცუდ მმართველობას თავისი ნიშნები აქვს. ერთი ასეთი ნიშანია მმართველობის ხანგრძლივობა. ცუდი მმართველობა მოკლე ვადაში ნაკლებად დამაგრეველია. მაგალითად, 1964-68 წლებში, ნავთობის ბუმის დროს ნიგერია გადარჩია. ამავე ტალღებზე დაცურავს უგრი ჩაგვსის ვენესუელაც. მაგრამ, როგორც კი ნავთობის ფასი დაეცა, 1980 წელს, მყსვე გამოჩნდა ცუდი მმართველობის შედეგები და ნიგერია არასულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცავა.

რატომ ვერ ახერხებენ სხვა ღარიბი ქვეყნები ამ ხაფანგისგან თავის დაღწევას? კოლიე ამბობს, რომ ადგილობრივი უმდიდრესი ელიტების ინტერესში შედის მოსახლეობის გაუნათლებლობა. ელიტები ეკონომიკის განვითარებას აუცერხებენ, რადგან მათი შემოსავალი ეკონომიკის განვითარებაზე კი არა რესურსების მითვისებაზე დამოკიდებული. პოლიტიკური ნების არასებობის გარდა, მეორე პრობლემაა ემიგრაცია. ცუელა ნიჭიერი და განათლებული ადამიანი ტოვებს ასეთ ქვეყანას და უკეთესი შემოსავლის დაბენიერების ძიებაში განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრება. დასკენა შემდეგია: ამ ელიტებს, საერთაშორისო საზოგადოების ჩარვის გარეშე, გაღარიბებული და გაუნათლებელი მოსახლეობა თავიდან ვერ მოიშორებს და მსოფლიოს ერთი მეზუთედი მუდმივი სიღარიბისთვის განწირული რჩება.

მთავარი დასკენა, რომელიც ავტორს გამოაქვს, ერთდროულად სევდიანიცაა და იმედს მომცემიც: ქვეყნის განვითარების ერთად არამართლებულ დადამიანთა რაოდენობა და მედიის თავისუფლების სარისხი სხვა დანარჩენი ფაქტორების მდგომარეობას ასახავს. მახებისთვის თავის დასაღწევად მეზობელის მართველობა და განვითარებული მოსახლეობა თავიდან ვერ მოიშორებს და მსოფლიოს ერთი მეზუთედი მუდმივი სიღარიბისთვის განწირული რჩება. მთავარი დასკენა, რომელიც ავტორს გამოაქვს, ერთდროულად სევდიანიცაა და იმედს მომცემიც: ქვეყნის განვითარების ერთად არამართლებულ დადამიანთა რაოდენობა და მედიის თავისუფლების სწრაფად ანგრევს. მაგალითად, პრეზიდენტ მუგაბე მოსვლის შემდეგ, 1998 წელს ზიმბაბვეს ეკონომიკა ჩამოიშალა და ინფლაციის ნლიურმა მაჩვენებელმა 1000%-ს მიაღწია. ამ ასიმეტრიულობის გამო, კოლიე ამბობს,

ნუალი ეა ბალახი



ოთხშაბათს კვლავაც დიდი თამაშია „კამპ ნოუზე“, სადაც ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალში „ბარსელონა“ „ინტერს“ მასპინძლობს და იმ ორბურთიანი სხვაობის ამოღებას შეეცდება, წინა კვირაში სან სიროზე 1-3 დამარცხების შემდეგ რომ აწევს კისერზე.
გიო ახვლედიანი, ლონდონი



„ინტერის“ მთავარი მწვრთნელი ყოზე მაურინიო

ეს საკმაოდ გამართული რეპორტიორული წინადადება სრულიადაც ვერ გამოხატავს იმ მოვლენათა არსას, რომელსაც მაყურებელი და მედია მოელის ამ თამაშისგან.

ამ საქმის მთავარი პერსონაჟები ან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული „ბარსას“ მთავარმემები და მესი და „ინტერის“ სახელგანთქმული მწვრთნელი ჟოზე მაურინიო გახლავან.

ფეხბურთი ისეთ რამედ შეიქნა დღევანდელ მსოფლიოში, რომ ზოგჯერ საუკეთესო თამაში ცოტა უკან დაიწევს ხოლმე და წინ კი სიტყვებს, მოქმედებებს და ადამიანებს გამოუ-

შვებს. მესის, რომელსაც მარადონას ადარებენ, და ერთი-ორმა უკვე კიდეც თქვა, – მარადონაზე უკეთესიცაა, – ჯერჯერობით მეტად მშვიდი სახე აქვს იმისთვის, რომ მარადონაზე მაგარი იყოს, თუმცა რაღა თქმა უნდა, ფეხბურთელად დიდია. მაურინიი კი... აბა როგორა ვთქვა, ეს კაცი ძველი დროის ლიტერატურულ პერსონაჟებს უფრო ჰგავს, ფეხბურთის ერთგვარი ჯონ სილვერია.

მაურინიოს ხელში ვერ დაწყნარდები, ვერც მესის ხელში. ეს უკანასკნელი, თუ თამაში მიუდის, უზომო სიხარულს ანიჭებს მაცქერალს, ის უკანასკნელი კი თავისი ნახელავით ეგებ აღფრთოვანებას არ ინვედეს, მაგრამ გათქმევინებს, – რა მაგარია, ეს ოხერიო.

„ბარსა“-„ინტერის“ ერთ-ერთი ხლართი ის არის, რომ მაურინიოს „ბარსაშიც“ უმუშავია, ჯერ ცხონებული სერ ბობი რობსონის თარჯიმან-ასისტენტად, მერე კი ლუის ვან გაალის თანაშემწედ. ლუის ვან გაალი ახლა თავისი „ბაიერნით“ მიინებს ფინალისექნ და მოკლედ, ამ საქმეში დიდი ამბებია ჩადებული.

მაურინიო ადრეც შესვედრია მესის და „ბარსელონასო“, ოლონდ – როგორც ჩელსის მწვრთნელი. აბა, ამბები იქ იყო თუ იყო. მაგრამ იქაური წყლის ამბავი ახლაც წამოტივტივდა. რას წიშნავს ესა, აუცილებლად აგი-ხსინთ.

„ბარსას“ ფილოსოფია ცნობილია: ხალხი არა მარტო უნდა გაახარო, არამედ ასიამოვნო კიდეც. შენც უნდა ისიამოვნო და სხვაც უნდა ასიამოვნო. „ბარსას“ ფეხბურთელობა ყოველთვის ერთი დიდი კაიფია: ბურთის ლამაზი გორება და სივრცების აღმოჩენა.

ვან გაალიც ასეთი მწვრთნელია. სწორედ ამას წინათ თქვა: მაურინიო დიდი კაცია, ოლონდაც მე ფეხბურთში სანახაობა მგონია მთავარი, მას კი ეგ არ აინტერესებს, რახან მთავარ რამედ მოგება მიაჩნია, მცველებს უფრო სჯერა, ვიდრე თავდამსხმელებისათ.

ესე იგი, „ბარსაში“ რამდენი-მეწლიანმა მუშაობამ სრულიადაც ვერ შეცვალა მაშინ მთლად ახალგაზრდა მაურინიოს შეხედულებები და მეტიც, „ბარსა“ მის ერთ-ერთ ფილოსოფიურ მტრადაც იქცა.

ჰოდა, ბედიც ისეთი გამოდგა, რომ დიდი დრო არ გაივლის, სადმე ამ „ბარსას“ არ გადაეყაროს. არი ერთი ჭიდაობა და ამბავი. ჰოდა, მაურინიო მთლად ვერ უგებს, მაგრამ მთლად არც აგებს.

აქ კიდევ დგას წყლის საკითხი. მინდორა და წყალი.

ერთიც, „ჩელსი“ რომ „ბარსელონას“ ხვდებოდა, ამბავი ატყდა, – მაურინიომ „სტემფორდ ბრიჯის“ იმგვარად მორწყვა ბრძანა, ბურთს რომ კარგად ვერ ეგორავა და ტექნიკურ კატალონიელებს რომ გასჭირებულდათო.

ინგლისური ბალახის თავისებურებებში გაერკვე, ძნელია. აქაურ სტადიონებზე გაზონის კულტია. ინგლისელებმა ასე იციან, თუ უცხოეთში თამაში წააგეს, ხშირად ბალაზზე იწყებენ ლაპარაკეს, – ეგ რა გაზონი იყო, პაკინი მარშებზე უკეთესი ბალახია. პაკინი მარშები აღმოსავლეთ ლონდონს შერჩნილი წაჭაობარი მინდორია, ან მჭიდროდ დასახლებული ადგილი. დაახლოებით ისა, მშიგნავი ჯეკი რომ ქალებს ხოცავდა.

ახლაც, ახალ „უემბლიზე“ გაზონს ინუნებენ და არის ერთი ამბავი. მოკლედ, მაშინ სკანდალი იყო, – დატბორა მაურინიომ ყველაფერიო.

ჰოდა, წინა კვირაში, „ინტერმა“ რომ „ბარსას“ მოუგო, პეტ გვარდიოლამ, „ბარსას“ მწვრთნელმა, მეტად კეთილგანწყობილმა და, მაურინიოსგან განსხვავებით, ამპარტავნების-გან თავისუფალმა ადამიანმა თქვა, – წავაგეთ, ეგ არაფერი, „სან სიროზე“ ბალახი არ მოგვირწყეს, რომ ბურთს კარგად არ ესრიალა, ახლა „კამპ ნოუს“ კარგად დავასცელებთ და წახავთ, როგორც ვითამშებთო.

მე კი ცოტა დავიძენი, რახან ფრენკ რაიკაარდის მწვრთნელობისას „ბარსას“ სველი მინდორი არ მოსმონდა, ახლა კი – მშრალი, მაგრამ აბა ფეხს და გაზონს რას გაუგებ, მით უმეტეს ბურთს და მით უმეტეს – უზე მაურინიოს.

ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, რომ ზეგ დიდი თამაშია. სველი თუ მშრალი, კარგი იქნება. მაურინიოსთვის კი ეს ძალიან, ძალიან სხვა თამაშია, ეგებ ასჯერ უფრო სხვა, ვიდრე – „ბარსას-თვის“. ც.



ციბებაცი

იპიტერ
ლიბერალის
პორტალი
www.liberali.ge

ბლოგი: ციცე ჭიშილაშვილი

განახანი 15 წამში

ვერაფრით მიხვდებით, რა ძალა აჩერებთა ამ დასახლებაში ადამიანებს. 2001 წლის შემდეგ სამხრეთ ისრაელში მდებარე პატარა ქალაქი სდეროტი ღაზას სექტორიდან მომართული 8000-მდე რაკეტით დაიბომბა. ეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაცემებია. რაკეტა პალესტინდან სდეროტამდე ზუსტად 15 წამში აღწევს.

ბლოგი: ციცე გოგუა

რეალიტაზი

სასამართლო დარპაზიდან

„არ გაძლევთ სასამართლო პრო-ცესის აუდიოჩანაწერის გაკეთების უფლებას“. – მითხვა მკაწრი ხმით სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დიტო ჭედლიშვილმა და მანდატურს ჩემთვის დიქტოფონის ჩამორთმევის ბრძანება მისცა.

ცოვალეპირაულად

მაღალიმიზის განვითარების

სამოხმალო სამსახურის შემახაბი

ხომ აհ ბვეჩება?



მიმართია, რომ დღეს შეურაცხყოფაზე უიარალო ადამიანის (რამდენადაც დიდი შეურაცხყოფა უნდა მოგაყენოს მან) ადგილზევე მიხვრეტა ან გამოწელვა გამოსინების მიზანის სირთულეზე გამოიყენება! გამოიყენება ან გამოწელვა გამოისმინეთ, თუ შეიძლება...

კახა თოლორდავა

„ლიბერალის“ მეშვეობით ორი ინიციატივა შევთავაზე თბილისელებს – პირული იყო თამაში, სახლონდებით „თბილისელი სამურა“, მეორე კი პროექტი – „დუნგჩენიზმი მტკვარზე“. კიდევ ერთი კარგი აზრი მომივიდა თავში და თქვენზე უკეთესს ვის უნდა გაუზიარო? მომისმინეთ, თუ შეიძლება...

ეზოებში ჩადგმული ფეხბურთის მოედნები დიდებული რამაა. სადაც უნდა ჩავიარო, მოედნებზე სულ ვიღაცაა. ფაქტია, რომ თბილისელმა მოზარდებმა სიამოვნებით მიიღეს საჩუქარი და ეს ცუდი არაა. ჩემი კითხვაა: კიდევ ერთი საჩუქარი ხომ არ გაგვეეტებინა მათვის, შესაბამისად ჩვინთვისაც? „რა საჩუქარი?“ – იგითხვათ თქვენ. გიპასუხებთ: ბოქსის რინგები. „რატომ?“ – შემეეთხებით სრულიად სამართლიანად. ამზეც გიპასუხებთ: „ოდნავ სახეცვლილი დუღლის ტრადიციის დასაწერგად“. უფრო დაწრილებით მოგახსენებთ: არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ დღემდე მონია, რომ დუღლი სამართლიანი და სწორი გზა იყო ადამიანებს შორის კონფლიქტების მოსაგარებლად. შეურაცხყოფაზე პასუხი ადგილზევე დახვერტა ან დაკლა კი არ იყო, არამედ ხელთათმანი სახეში, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეურაცხყოფილი ადამიანი აღიარებდა, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს და თანაბარ ორთაბრძოლაში იწვევდა შეურაცხმყოფელს. ამას დღემდე კაცობას ვუწოდებ!

გავაგრძელებ... მიმართია, რომ დღეს შეურაცხყოფაზე უიარალო ადამიანის (რამდენადაც დიდი შეურაცხყოფა უნდა მოგაყენოს მან) ადგილზევე მიხვრეტა ან გამოწელვა გამოისმინების თუ ამაში მეთანხმებით, მაშინ გევითხებით: ვინაიდან ადამიანები ისევ და ისევ აყენებენ ერთმანეთს შეურაცხყოფას და ამასობაში ჩვენ უკვე ოცდამერთო საუკუნეში ვწეხოვრობთ, ხომ არ შეიძლება ერთხელ მაინც გავბედოთ, შევისუმაოთ ჩვენი, თბილისური ორთაბრძოლის ფორმატი და ასე გადავწყვიტოთ თუნდაც მინორული პრობლემები, რომ გარჩევების შემდეგ ასფალტზე გვამი არ დარჩეს? აი, სწორედ აქ შეიძლება გამოვიყენოთ ბოქსის რინგები! მაც ასე, ვიღაც ვიგინდარა შეურაცხყოფას მაყენებს, მე კი მას დუღლში ვიწვევ, ოლონდ არა – მოსაქალავად, არამედ მისაუეუად. ეს საკმარისი უნდა იყოს. სეურნდანტების პოვნა თბილიში არ უნდა გაჭირდეს. მათი ფუნქცია, მე მეონი, კარგადაა გასაგები. ჩვენ წინასარ ვთანხმდებით ორთაბრძოლის დღეზე და დათქმულ დროს ორივესთვის მოსახერხებელი სიახლოვის ნებისმიერ ეზოში ჩადგმულ რინგზე ვხვდებით ერთმანეთს. წონითი კატეგორიების განსაზღვრა საჭირო არაა, რადგანაც, შეურაცხყოფის შემთხვევაში, ვჩერებოთ ყველა – მძიმე თუ მსუბუქი, მოკლე თუ გრძელი, დაბალი თუ მაღალი. ამ გზით ჩენებასც ესნავლობთ, პატივიბასაც და კაცობასაც. მოდი აქ დეტალურად ნუ განვიხილავთ რაუნდების რაოდენობას და დანარჩენ ტექნიკურ საკითხებს. კეთილი ნების შე-



მთხვევაში, ამას მოევლება და იმედი მაქს, თბილისური საჯარო ჩხუბები დამატებით პერს შესძენს ქალაქს და მის მაცხოვრებლებს...

კიდევ ერთ რამეს გეტყვით: საჯარო კრივის მატრიბის მეშვეობით, როგორც იქნა, პოლიტიკოსებსაც მიეცემათ საშუალება, სამართლიანად გაუსწორდენ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ თავს შეურაცხყოფილად იგრძნობენ. წარმოიდგინეთ: რომელიმე თოქ-შოუზე, ან პარლამენტში ან კიდევ სადმე სხვაგან ერთი პოლიტიკური მოთამაშე შეურაცხყოფას აყნებს მეორეს (კომბინაციებით თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, გეთაყვა, ანუ როგორც ფრენქ ზაპა იტყოდა: „Just use your imagination, ladies and gentlemen!“). შეურაცხყოფილი პოლიტიკოსი იქვე, ადგილზევე ინვეს შეურაცხმყოფელს კრივის დუღლში და იქვე დაგინდება ბრძოლის ადგილი და დრო. გულზე ხელის დადებით მიასაუხეთ, რომელი პრემიერ ლიგის თამაში შეედრება ამას? ასეთ შემთხვევებში, მატრიც დასწრების უფლება ყველას ეძლევა – პლუს, მზეუმზირის და ნაყინის გამყიდველები და ა.შ. ჩემი ვარაუდით და, რამდენადც ქართველ პოლიტიკოსებს ვიცნობ, ასოლუტურად შესაძლებელია, რომ რამდენიმე მატრიც ერთდროულად გაიმართოს. ამ შემთხვევებში, უკვე ჩვენზე იქნება, თუ რომელ მატრიც დავესწრებით. მატრიცის დასრულების შემდეგ, არა აქს მინშენელობა თუ ვინ გაიმარჯვებებს, მონინაალდეგები ხელს ართმევენ ერთმანეთს და საქიფოდ მიდინ. თუ ყველაფერი ამის შემდეგ დამარცხებული მაინც ჩაუსაფრდება გამარჯვებულს და მოავლევენებულს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იმ დაქლიავებულს უნდა მიესავოს ორმოცი წლით პატიმრობა, მერე კი ადგილზევე დაიხერიტოს...

მესმის, რომ ყველაფერ ამას ხუმრობად აღიქვამთ, მაგრამ მე ნამდვილად არ ვხუმრობ. თბილისის ეზოებში ჩადგმულმა რინგებმა შეიძლება მართლაც გვასწავლოს ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა, ერთმანეთთან საუბარი და დაგვიბრუნოს ის კაცობა, რომელსაც ასე წარუმატებლად დავეძებთ სადლევრძელოებში.... ■



რადიო „ნაცობი“ გეპატიურათ კლუბი „ნაცობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE
